

## დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

### ზოგადი ქირურგია (44თვე)

#### I. ზოგადი დებულებები

##### 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

ზოგადი ქირურგია არის ქირურგიული დისციპლინა, რომელიც ეფუძნება საბაზისო ცოდნას (ანატომია, ფიზიოლოგია, მეტაბოლიზმი, იმუნოლოგია, ნუტრიციოლოგია, პათოლოგია, ჭრილობის მართვა, შოკი და რეანიმაცია, ინტენსიური თერაპია, ონკოლოგია) და რომელიც წარმოადგენს საერთო საფუძველს ყველა ქირურგიული სპეციალობისათვის. ზოგად ქირურგს უნდა გააჩნდეს სპეციალიზებული ცოდნა და გამოცდილება რომელიც უკავშირდება დიაგნოსტიკას, პრე-, პერი- და პოსტოპერაციულ (მათ შორის გართულებების), მართვას. ზოგად ქირურგიაში, დიპლომის შემდგომი მომზადების პროგრამის მიზანია ექიმში – “ზოგადი ქირურგის” მომზადება ფართო სპექტრისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტად. ეს პროცესი წარიმართება მაღალ პროფესიულ, მდიდარი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და მრავალპროფილური კლინიკური ბაზების პირობებში. პროგრამას გააჩნია სამი ძირითადი კომპონენტი: კურიკულუმი, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა, რომლებიც სტრუქტურირებული არიან იმგვარად, რომ უზრუნველყონ ცოდნის, უნარ-ჩვევების, და კლინიკური განსჯის უნარის ჩამოყალიბება, რაც აუცილებელი პირობაა ზოგადქირურგიული პრაქტიკისათვის. პროგრამის დირექტორი და ფაკულტეტის წევრები მზად უნდა იყვნენ, პროგრამის მიზნისა და ამოცანების შესრულებაში რეზიდენტისათვის ნებისმიერი სახის აკადემიური და პროფესიული დახმარების აღმოჩენისათვის. პროგრამის ნებისმიერი აკადემიური კომპონენტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ზემოთ აღწერილ მიზანთან და ამოცანებთან.

დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამა ზოგად ქირურგიაში, წარმოადგენს I კატეგორიის პირამიდულ პროგრამას. პროგრამის თითოეული ფაზის (PGY) დასრულების შემდეგ პროფესიული მომზადება გადადის შემდეგ ეტაპზე. სარეზიდენტო პროგრამა 4 წლიანია და შედგება კურიკულუმით განსაზღვრულ ეტაპებისგან (კლინიკური როტაცია, თეორიული კურსი, რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაო): I - (PGY- I), II - (PGY- II), III - (PGY- III), IV - (PGY- IV).

პროფესიული მზადების თითოეული ფაზისათვის/საფეხურისათვის პროგრამაში მოცემულია მზადების მიზანი, ასათვისებელი საკითხებისა და უნარ-ჩვევების ნუსხა, მზადების ფორმა, ხანგრძლიობა და მეთოდები. ასევე, ზოგადად, შეფასების კრიტერიუმები და მოსალოდნელი შედეგები, ანუ იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლის ათვისება და ცოდნა უნდა დაადასტუროს რეზიდენტმა თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ.

მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ, დამამთავრებელი ეტაპის რეზიდენტი უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნასა და უნარ ჩვევებს რათა შეეძლოს ზოგადი ქირურგიის ფარგლებში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა; პროგრამის რეალიზაციის პროცესში ექიმს უნდა გამოუმუშავდეს კლინიკური აზროვნება, კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისა და განსჯის უნარი; ტექნიკური და ოპერაციული ჩვევები; სპეციალობაზე დაფუძნებული ცოდნა და პროფესიული ჩვევები. აღნიშნულის შემდეგ, რეზიდენტურის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს ადეკვატური ოპერაციული გამოცდილება და სათანადო თეორიული ცოდნა რათა ჩააბაროს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა “ზოგადი ქირურგიის” სპეციალობით. გარდა ამისა, რეზიდენტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ქირურგთა ასოციაციის მიერ დაწესებულ ქირურგიული პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებსა და მოთხოვნების დონეს.

პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ასევე სწავლების I წლის შემდეგ განხორციელდეს რეზიდენტის მობილობა მომიჯნავე ქირურგიული სპეციალობის სხვა პროგრამის ფარგლებში ანუ პირველი ერთი წელი განიხილება, როგორც სწავლების საბაზისო პერიოდი ყველა ქირურგიული დისციპლინებისათვის.

##### 2. სპეციალობის აღწერილობა

“ქირურგია” - (წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან Χειρουργία – და ნიშნავს ხელით მუშაობას) წარმოადგენს სამედიცინო სპეციალობას, რომლის მიზანია ორგანიზმის დაზიანებებისა ან დაავადებების მკურნალობა ოპერაციული ან ინსტრუმენტული გზით; ასევე იმ

მდგომარეობათა და დაავადებათა შესწავლა, რომელთა მკურნალობის მეთოდიც შეიძლება იყოს ქირურგიული ჩარევა, ამ ჩარევების მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური სრულყოფა და განვითარება. ქირურგიული გზით მკურნალობა გამოიყენება შემდეგი მდგომარეობების დროს:

- ტრავმა;
- ანატომიური გადახრები;
- ფუნქციის დარღვევა/მოშლა;
- ანთება;
- იშემია და ინფარქტი;
- მეტაბოლური დარღვევა;
- ნეოპლაზია;
- ქსოვილთა ზრდის სხვა დარღვევები (მაგ.: ცისტები, ჰიპერპლაზია და ორგანოთა ჰიპერტროფია).

**“ზოგადი ქირურგია”** – წარმოადგენს ქირურგიულ სპეციალობას, რომელიც ფოკუსირებულია მუცლის და გულმკერდის ღრუს ორგანოების დაავადებათა ქირურგიულ მკურნალობაზე, სხეულის სხვადასხვა მიდამოების ტრავმულ დაზიანებებზე, შექნილ და თანდაყოლილ მანკებზე და გადაუდებელ მდგომარეობებზე.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მინიმალურ-ინვაზიური ქირურგია და რობოტული ქირურგია, რაც ზოგადი ქირურგიის მოქმედების სფეროს წარმოადგენს და უფრო მეტად აფართოვებს მას.

ზოგადი ქირურგი წარმართავს პაციენტთა პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციულ მართვას დაავადებათა და მდგომარეობათა ვიწრო ან კომპლექსური პრობლემატიკის არსებობისას. ზოგადი ქირურგიის კომპეტენციის ჩარჩოები გარკვეულწილად შემოისაზღვრება, თუმცა მოიცავს სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას შემდეგ სფეროებში:

- თავ-კისრის დაავადებები, მათ შორის ფარისებრი და ფარისებრახლო ჯირკვლების კეთილ- და ავთვისებიან დაავადებათა მართვა;
- სარძევე ჯირკვლის დაავადებები, მათ შორის ძუძუს კიბო, პრეოპერაციული დიაგნოსტიკა-სტადირება, ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობა.
- კანი და რბილი ქსოვილები, მათ შორის ზოგიერთი სახის ავთვისებიანი სიმსივნეების მართვა;
- ალიმენტური ტრაქტის დაავადებები, მათ შორის კეთილ და ავთვისებიანი დაავადებები და მდგომარეობები რომლებიც მოიცავს საყლაპავს, კუჭს, წვირს და მსხვილ ნაწლავებს და სწორ ნაწლავს. ზოგადი ქირურგი უნდა ფლობდეს აღნიშნულ მდგომარეობათა მკურნალობის როგორც ღია, ისე ლაპაროსკოპულ მეთოდებს;
- გულმკერდი და გულმკერდის ღრუს შიგთავსი გარდა გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვებისა;
- პანკრეასის, ღვიძლის, სანადღვე გზების და ნადღვის ბუშტის პათოლოგიები, კეთილ და ავთვისებიანი დაავადებები;
- თიაქრების მკურნალობა;
- სისხლძარღვოვანი პათოლოგიები, მწვავე და ქრონიკული გენეზის დაავადებები და ოკლუზიური პროცესები.
- ტრავმის შემთხვევების მართვა, სასწრაფო და გადაუდებელი პროცედურების წარმოება, ქირურგიული ავადმყოფის მოვლა;
- ბავშვთა გადაუდებელი ქირურგია.

ზოგადი ქირურგია წარმოადგენს საბაზისო ძირითად სპეციალობას ქირურგიულ დისციპლინათა შორის. შესაბამისად, ზოგადი ქირურგი არის ქირურგი-სპეციალისტი, რომელიც წარმართავს ქირურგიულ ავადმყოფთა სრულყოფილ მართვას. ზოგადი ქირურგიის მომავალი, დამოკიდებულია დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომი მომზადების სტანდარტებისა და პრაქტიკული საქმიანობის საზღვრების დაწესებასა და ცვლილებებზე. “ზოგადი ქირურგიის” ცნება მოიცავს საბაზისო სამეცნიერო ელემენტებისა და კლინიკური ჩვენების კომპლექსს, რომელიც ათვისებულ უნდა იქნეს სპეციალობის მაძიებლის მიერ კლინიკურ პრაქტიკაში შემდგომი გამოყენების მიზნით.

**დაავადებები, პათოლოგიური მდგომარეობები, რომელთა პროფილაქტიკას, კლინიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მოიცავს ზოგადი ქირურგია**

**საჭმლის მომნელებელი სისტემა:**

- დისფაგია და გასტროეზოფაგური რეფლუქსი (GERD);
- საყლაპავის დაზიანებები
- საყლაპავის უცხო სხეულები
- საყლაპავის დივერტიკულები
- საყლაპავის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები;
- დიფრაგმის დაზიანებები
- დიაფრაგმის თანდაყოლილი, დაავადებანი, კისტები, სიმსივნეები
- დიფრაგმის თიაქრები (ტრავმული, თანდაყოლილი, ცრუ, დიაფრაგმის ხვრელების თიაქარი)
- დიაფრაგმის რელაქსაცია
- დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქრები
- პანკრეასის დაზიანება
- მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტი
- პანკრეასის კისტები და ხვრელმილები
- პანკრეასის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები
- ელენთის დაზიანება
- ელენთის დაავადებები
- ჰიპერსპლენიზმი
- მუცლის თიაქრები და მისი გართულებები;
- პერიტონიტი
- ინტრა-აბდომინური აბსცესები;
- უზშირესი მწვავე აბდომინური მდგომარეობები;
- რეტროპერიტონეული სივრცის ქსოვილთა დაზიანება
- რეტროპერიტონეული სივრცის ჩირქოვან-ანთებითი დაავადებანი
- რეტროპერიტონეული სივრცის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებები
- ნაწლავთა ობსტრუქცია, პარალიზური გაუვალობა;
- ნაწლავთა ფისტულები;
- გასტროსტომია, ილეოსტომია, კოლოსტომია და სხვა სტომები;
- გასტროინტესტინური ენდოსკოპია მკურნალობისა და დიაგნოსტიკის მიზნით
- მუცლის ტკივილის შეფასება და კვლევა
- მუცლის სიმსივნური წარმონაქმნების კვლევა
- სიყვილთა: დიფერენციული დიაგნოზი და მართვა
- ღვიძლის ციროზი, პორტული ჰიპერტენზია, ასციტი
- სანაღვლე გზების დაზიანებები
- მწვავე და ქრონიკული ქოლეცისტიტი
- ნაღველკენჭოვანი დაავადება და მათი გართულებები
- პოსტქოლეცისტექტომიური სინდრომი
- ნაღველის ბუშტისა და სანაღვლე გზების სიმსივნეები
- ღვიძლის ტარემები
- ღვიძლის აბსცესები;
- ღვიძლის პარაზიტული და არაპარაზიტული დაავადებები;
- ღვიძლის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები
- პორტული ჰიპერტენზია და ღვიძლის უკმარისობა
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის უცხო სხეულები
- კუჭისა და თორმეტგოჯა გოჯა ნაწლავის დაზიანებები
- კუჭისა და თორმეტგოჯა გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება
- გასტროინტესტინური სისხლდენა (ფარული და მანიფესტირებული)
- წყლულის პერფორაცია
- პილოროდუოდენალური სტენოზი
- წყლულის პენეტრაცია
- მწვავე წყლულები
- ულცეროგენული ენდოკრინული დაავადებები
- ნაოპერციები კუჭის დაავადებები
- აპპტიკური წყლულოვანი დაავადება (PUD);

- კუჭისა და თორმეტგოჯა გოჯა ნაწლავის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები
- წერილი ნაწლავის ტრავმები
- წერილი ნაწლავის დივერტიკული
- წერილი ნაწლავის სისხლის მიმოქცევის მოშლა
- წერილი ნაწლავის ხვრელმიღები
- კრონის დაავადება
- წერილი ნაწლავის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები
- მწვავე და ქრონიკული აპენდიციტი
- ჭიკაძე და ნანაძის სიმსივნეები
- კოლინჯის დივერტიკულები და დივერტიკულოზი
- ჰირშპრუნგის დაავადება
- არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი
- კოლინჯის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები
- მეცნიერება სტომების შესახებ
- სწორი ნაწლავის ტრავმები
- ჰემოროიდული დაავადება
- ყითას ნაპრალი
- უხშირესი ანალური და პერინეალური მდგომარეობები;
- სწორი ნაწლავის ხვრელმიღები და პარაპროქტიტი
- სწორი ნაწლავის პროლაფსი
- სწორი ნაწლავის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები
- სწორი ნაწლავის, პარარექტული და გავა-კუდუსუნის მიდამოს არა სიმსივნური დაავადებების მკურნალობა
- ნაწლავთა გაუვალობა
- ლაპაროსკოპული ქირურგიის პრინციპები და გართულებები;
- გასტროინტესტინური ტრაქტის ავთვისებიანი დაავადებები;
- ნაწლავთა ანთებითი დაავადებები;
- ინტესტინური იშემია.

#### **სისხლძარღვთა ქირურგია:**

- კიდურის იშემია: მწვავე და ქრონიკული არტერიული ემბოლიზმი;
- განგრენა;
- სისხლძარღვთა დაავადებების დროს წარმოებული ამპუტაციები;
- ანევრიზმების (მაგ.: მუცლის აორტის ანევრიზმა) მართვაში სწორი ორიენტაცია;
- სისხლძარღვთა რეკონსტრუქციული ქირურგიის პრინციპები;
- რეკონსტრუქციული შუნტირების პრინციპები;
- ქვემო კიდურების ვენების დაავადებები;
- ღრმა ვენური თრომბოზი და მისი გართულებები;
- ქვემო კიდურის ქრონიკული ულცერაცია;
- თირკმლის ქრონიკული უკმარისობის მართვის პრინციპები.

#### **ენდოკრინული სისტემა:**

- ფარისებრი ჯირკვლის ქირურგიული მკურნალობის პრინციპები;
- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვაში სწორი ორიენტაცია;
- ფარისებრახლო ჯირკვლები;
- ჰიპერპარათირეოიდიზმი;
- ჰიპერკალცემია;
- თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები და პანკრეასის დაავადებები;
- მეორადი ჰიპერტენზიის ენდოკრინული მიზეზები;
- მუცლისა და რეტროპერიტონეული სივრცის ენდოკრინული სიმსივნეები.

#### **სარძევე ჯირკვალი:**

- მწვავე მამარული ინფექციები;
- დერილის ნახეთქი;

- მასტალგია;
- ძუძუს კეთილთვისებიანი დაავადებები;
- ძუძუს კიბოს მართვა.

**რესპირაციული სისტემა, გული და მთავარი სისხლძარღვები:**

- აორტო-კორონული შუნტირების ძირითადი პრინციპები;
- გულის დაავადებათა გამოკვლევისათვის საჭირო სპეციფიკური მეთოდები და ტექნიკა;
- პლევრის ღრუს ემპიემა;
- პნევმოთორაქსი / ჰემოთორაქსი;
- თორაკალური ოპერაციების გართულებების მართვა;
- ფილტვებისა და ბრონქების კეთილ- და ავთვისებიანი დაავადებები.

**ურო-გენიტალური ტრაქტი:**

- ურინარული ტრაქტის ინფექციები, ჰემატურია;
- შარდოვანი კენჭები;
- შარდის რეტენცია;
- თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დიაგნოსტიკა: პრინციპები და დიალიზის ტექნიკა;
- თირკმლის დაზიანებანი;
- თირკმლის გადანერგვის პრინციპები;
- სათესლე პარკის ტკივილი და შეშუპება;
- სათესლის შემოგრება;
- წინამდებარე ჯირკვლის დაავადებების მართვაში სწორი ორიენტაცია;
- მუცლის მწვავე ტკივილის გინეკოლოგიური მიზეზები;
- მენჯის ანთებითი დაავადებები;
- ურო-გენიტალური ტრაქტის ავთვისებიანი დაავადებების დიაგნოსტიკა და სწორი ორიენტაცია ამ დაავადების მართვაში.

**ცენტრალური ნერვული სისტემა:**

- მენინგიტის ქირურგიული ასპექტები;
- ინტრაკრანიალური აბსცესები;
- ინტრაკრანიალური ჰემორაგიები;
- ინტრაკრანიალური მოცულობითი დაზიანებები და მათი ეფექტები;
- ხერხემლის დაზიანება და კომპრესია;
- პარაპლეგია და ტეტრაპლეგია: მართვის პრინციპები.

**ძვალ-კუნთოვანი სისტემა:**

- ძვლების მეტაბოლური და დეგენერაციული დაავადებები: ოსტეოპოროზი და ოსტეომალაცია;
- ძვლებისა და სახსრების ინფექციების დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მართვა;
- უხშირესი მოტეხილობების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- სახსრების უხშირესი დაავადებებისა და დაზიანებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- მტევნის ინფექციები და დაზიანებები;
- მყესის აღდგენის პრინციპები;
- ტერფის უხშირესი დაავადებები;
- კისრისა და მხრის მიდამოს ტკივილი;
- ზურგის ტკივილი;
- იშიაზი;
- ართრიტების დიფერენციული დიაგნოსტიკა;
- პერიფერიული ნერვების დაზიანება;
- ნერვის რეგენერაციის და აღდგენის პრინციპები;
- ძვლებისა და რბილი ქსოვილების ავთვისებიანი დაავადებების დიაგნოსტიკა და სწორი ორიენტაცია ამ დაავადებათა მართვაში.

**ბავშვთა ქირურგია:**

- ახალშობილთა ანესთეზიისა და ქირურგიის სპეციფიკური საკითხები;
- ნეონატალურ პერიოდში წყალ-მარილოვანი ბალანსის თავისებურებები;

- კორექტაბელური ნეონატალური სიცოცხლისათვის საშიში თანდაყოლილი მდგომარეობები;
- ბავშვთა ქირურგიის უხშირესი დაავადებები, მგლის ხახა და კურდღლის ტუჩი, პილოროსტენოზი, ინტუსისეფცია, თიაქარი, სათესლის დაუშვებლობა, სათესლის შემოვრება, ატრეზიები

**დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები, რიმელსაც უნდა ფლოგდეს და რომელთა შემდეგის ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეიძლოს ზოგად ქირურგს**

- ინტრავენური მიდგომები;
- ნუტრიციული მხარდაჭერა: ჩვენება, ტექნიკა, სრული პარენტერული კვება;
- ელექტროკარდიოგრაფია;
- სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, თირკმლის და ენდოკრინული სისტემის შესაფასებელი ტესტები (კვლევიები);
- რესპირაციული დარღვევების ამოცნობა და კორექცია;
- წყალ-მარილოვანი ბალანსის შეფასება და შენარჩუნება;
- ჰემოტრანსფუზია: ჩვენებები, რისკები, გართულებები, პლაზმის შემცველებები;
- ქირურგიული ინფექციის წყაროები, პრევენცია და კონტროლი;
- სტერილიზაცია;
- ადგილობრივი და რეგიონული ანესთეზია;
- დიათერმიის პრინციპები, ენერჯის ალტერნატიული წყაროები;
- ლაზერული ტექნოლოგიების პრინციპები;
- ბიოფსისა და ციტოლოგიური კვლევისათვის მასალის აღების პრინციპები და ტექნიკა;
- ქსოვილთა ნიმუშების აღება კრიოსექციის და პარაფინული ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ბაქტერიოლოგიისათვის;
- ქსოვილოვანი სითხეების/გამონაყოფების აღება ლაბორატორიული შესწავლისათვის, მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი და მძიმედ დაზიანებულ პაციენტთა კლინიკური შეფასების შკალები;
- რესუსციტაცია (რეანიმაცია) და ჰემოდინამიკური მხარდაჭერა;
- გადაუდებელი ქირურგიული პროცედურები;
- ხერხემლის ტრავმული დაზიანების საწყის მართვაში სწორი ორიენტაცია;
- კარდიოპულმონური და ფარმაკოლოგიური რესუსციტაცია;
- ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;
- სხივის და ბარძაყის არტერიების კათეტერიზაცია;
- დიაგნოსტიკური ლაპაროტომია და ლაპაროსკოპია;
- სისხლძარღვთა დაავადებების გამოსაკვლევად საჭირო სპეციფიკური ტექნიკა და ტექნოლოგიები;
- თორაკოცენტეზი, გულმკერდის დრენირება;
- ბრონქოსკოპია, თორაკოსკოპია, მედიასტინოსკოპია თეორიული ასპექტები;
- ფიბროზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია;
- სადიაგნოზო რადიოლოგიის პრინციპები, სონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი;
- სადიაგნოზო და სამკურნალო ინტერვენციული რადიოლოგიის მეთოდების გამოყენება;
- სისხლძარღვებში, ორგანოებსა და სხვა სტრუქტურებში სტენტებისა და პროტეზების ინტერვენციულ-რადიოლოგიური ჩაყენების ძირითადი პრინციპები;
- უცხო სხეულის აღმოჩენის რენტგენოლოგიური კონტროლით;
- არაპალპირებადი სიმსივნეების სონოგრაფიული აღმოჩენა;
- ლიმფური კვანძების მარკირება და აღმოჩენა;
- გასტროფოგაგული რეფლუქსის დიაგნოსტიკა (მაგ.: pH-მეტრია);
- საყლაპავისა და კუჭის მოტორული ფუნქციისა და კუჭის მოტორული ფუნქციის დარღვევის შესწავლა (მაგ.: მანომეტრია);
- კოლინჯისა და ანორექტული დარღვევების დიაგნოსტიკა (მაგ.: ანალური სფინქტერის მანომეტრია).

ოპერაციების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს ზოგადი ქირურგი (საკერი აპარატებით და მათ გარეშე, ტრადიციული და ლაპაროსკოპული მეთოდით).

- კანის გადანერგვა / პლასტიკა
- მტევნის ინფექციების გაკვეთა და დრენირება
- მასტიტის დრენირება
- ძუძუს სექტორული რეზექცია
- მასრექტომია
- ჰიდრადენიტის დრენირება
- პაროტიდექტომია (ლატერალური ლობექტომია)
- თავის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება
- სახის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება.
- კისრის აბსცესის (ფლეგმონის) გახსნა
- კისრის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება
- ტრექტომია
- ტრაქეის ინტუბაცია
- აპენდექტომია
- კოლოსტომია
- კოლოსტომის ლიკვიდაცია
- კოლინჯზე ანასტომოზები
- კოლინჯზე რეზექციული ოპერაციები
- მარცხენამხრივი ჰემიკოლექტომია
- მარჯვენამხრივი ჰემიკოლექტომია
- ტოტალური და სუბტოტალური კოლექტომია
- კოლო-კოლო ანასტომოზები
- კოლორექტალური და ილეორექტალური ანასტომოზები
- სწორი ნაწლავის აბდომინოპერინეული ექსტირპაცია
- კოლპროქტექტომია
- პროლაბირებული სწორი ნაწლავის პერინეული პლასტიკა
- სწორი ნაწლავის წინა რეზექცია
- სწორი ნაწლავის წინა დაბაბალი რეზექცია
- აბდომინოანალური რეზექცია, კოლინჯის დემუკოზირებულ ანალურ არხში ჩამოტანით
- პროქტოლოგიური ოპერაციები შორისიდან და სწორი ნაწლავიდან
- ანალური ფისტულის / ნაპრალის ამოკვეთა
- ჰემოროიდების ინიექცია და ამოკვეთა
- იშიო და პელვიო რექტული აბსცესის დრენირება, ანალური ფისტულის ამოკვეთა
- პილონიდური სინუსის ამოკვეთა
- სწორი ნაწლავის სტრიქტურების რეკონსტრუქცია
- გასტროსტომია
- პერკუტანული, ენდოსკოპური გასტროსტომია – PEG
- ულცერორაფია
- გასტროიეუნოსტომია
- კუჭის დისტალური და პროქსიმალური რეზექცია
- პილორომიოტომია – ინტუსუსცეფცია
- პილოროპლასტიკა, გასტროდუოდენოსტომია
- სუბტოტალური გასტრექტომია
- ტოტალური გასტრექტომია
- ვაგოტომია (დეროვანი, სელექციური, პროქსიმალური სელექციური)
- ფუნდოპლიკაცია
- თორმეტგოჯა ნაწლავის რეზექცია
- ენტეროსტომია
- Meckel-ის დივერტიკულექტომია
- ენტერო-ენტეროსტომია
- წვრილი ნაწლავის რეზექცია
- ქოლეცისტექტომია

- ქოლევცისტექტომია
- ქოლედოქის რეზექცია
- ქოლედოქოდუოდენოსტომია
- ქოლედოქოიეუნოსტომია
- ქოლედოქოსტომია
- ქოლედოქოსტომია, ტრანსდუოდენური მიდგომით
- ღვიძლშიდა და ღვიძლგარეთა სანადვლე გზების რეკონსტრუქცია
- ღვიძლის სადინრის ბიფურკაციის კიბოს (Klatskin) დროს რეკონსტრუქციული ოპერაცია
- ღვიძლის ბიოფსია
- მარცხენამხრივი ჰეპატექტომია
- მარჯვენამხრივი ჰეპატექტომია
- ღვიძლის წილის სეგმენტის რეზექცია
- ღვიძლის სიმსივნის ადგილობრივი ამოკვეთა
- ლაპაროტომია, ლაპაროსკოპია
- ბარძაყის თიაქრის პლასტიკა
- საზარდულის თიაქრის პლასტიკა
- ვენტრალური თიაქრების პლასტიკა
- ჭიპის თიაქრის პლასტიკა
- სუბფრენული აბსცესის დრენირება
- ტრანსდიაფრაგმული ოპერაციები
- პანკრეასის ცისტის ან ფსევდოციტის დრენირება
- პანკრეასის კუდის რეზექცია
- პანკრეატიკოცისტოიეუნოსტომია
- ტოტალური პანკრეატექტომია
- პანკრეასის სეგმენტური რქზექცია.
- პანკრეატიკოდუოდენექტომია
- პილორუს შემანარცუნებული პანკრეატიკოდუოდენექტომია
- პორტაკაუური შუნტირება
- საჩინო ვენის მაღალი ლიგაცია და სტრიპინგი
- სპლენორენული შუნტირება
- შუნტირების პროცედურა პორტული ჰიპერტენზიის დროს
- ბილატერული ადრენალექტომია
- პარათიროიდექტომია
- სუბტოტალური თიროიდექტომია
- სპლენექტომია
- ორგანოშემნახველი ოპერაციები ელენთაზე
- სისხლძარღვთა ლიგაცია
- ნევრორაფია
- ტენდორაფია
- ოსტეოტომია
- ოსტეოსინთეზი
- სეკვესტრექტომია
- ძვალშიგა ფიქსაცია
- ძვლის რეზექცია
- სუპრაკონდილური ამპუტაცია
- ბარძაყის ამპუტაცია
- ფაღანგების ამპუტაცია
- ფაღანგების ამოსახსვრა
- წინამხრის ამპუტაცია
- ტერფის ამპუტაცია შარპის მიხედვით
- ტერფშორისი ამოსახსვრა ლისფრანკის წესით
- წვივის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია
- ბარძაყის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია
- ჰიდროცელეს ქირურგიული კორექცია



- ნეფრექტომია
- ნეფრორაფია
- ეპიცისტოსტომია
- ნეფროსტომის ფორმირება
- სალპინგექტომია – ოფორექტომია
- საკვერცხის სოლისებური რეზექცია
- Zenker-ის დივერტიკულექტომია
- საყლაპავი მილის რეზექცია და პლასტიკა
- ტრაქეიდან/საყლაპავოდან უცხო სხეულის ამოღება
- თორაკოტომია
- პლევრის პუნქცია / დრენირება
- გულმკერდის კედლის ჭრილობის პირველადი ქირ. დამუშავება
- პნევმორაფია
- პულმონექტომია
- ლობექტომია / სეგმენტექტომია
- კარდიორაფია

### 3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

ქირურგიაში სწავლის ხანგრძლიობა განისაზღვრება სარეზიდენტო პროგრამის გათვალისწინებით და არაა 4 წელი. რეზიდენტთან მუშაობის სქემა დაყოფილია მზადების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს პარალელურად.

პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 41 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში.

სარეზიდენტო პროგრამა ქირურგიაში მიზანმიმართულია ქირურგიაში რეზიდენტის თეორიული და პრაქტიკული მზადებისათვის.

პროგრამის ხანგრძლიობა 4 წელია. პროგრამის მიმდინარეობის დროს, კვალიფიკაციის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლიობით.

ქირურგიის სასწავლო პროგრამა იყოფა 3 ეტაპად: საწყისი ეტაპი ანუ ზოგადი ქირურგიის რეზიდენტურის მოდული (საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობებისთვის, ხანგრძლიობა II თვე), შუალედური ეტაპები (ხანგრძლიობა შესაბამისად II და II თვე) და უმაღლესი ეტაპი (ხანგრძლიობა II თვე).

თითოეული რეზიდენტი ასრულებს გარკვეულ საქმიანობას. თეორიული პროგრამის შესრულება და მრავლობითი მოდულები/როტაციები გამიზნულია იმისათვის, რომ რეზიდენტმა შესძლოს ავადმყოფთა ფართო სპექტრის განსხვავებული შემთხვევების ნახვა, შესწავლა და მართვა; მიიღოს საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამით.

ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალურად დანიშნული ექიმების (მოდულზე პასუხისმგებელი პირი - ლოკალური ხელმძღვანელი) მიერ. თითოეულ რეზიდენტზე ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. საჭიროა გაკონტროლდეს რეზიდენტის მიერ მისი ინდივიდუალური გეგმის შესრულება, რეზიდენტის წასვლა-მოსვლის განრიგი, სხვა ვალდებულებანი, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. ზედამხედველობა რეზიდენტისაგან მოითხოვს განსხვავებულ დამოკიდებულებას ქირურგიული სპეციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, კომპეტენციასთან ერთად, პროპორციულად ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები, მათ შორის ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით.

რეზიდენტის ზედამხედველ ექიმს - მოდულზე პასუხისმგებელი პირს (ლოკალურ ხელმძღვანელს) გააჩნია, როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობა პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ამავე დროს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის საქმიანობაზე და განათლებაზე. ამასთან, პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, აღნიშნული ზედამხედველობა უფრო ნაკლები ხარისხით ესაჭიროება, ვიდრე სწავლების საწყის საფეხურზე მყოფ პირებს. მთითებების ჯაჭვი ითვალისწინებს ეტაპობრივი პასუხისმგებლობის ზრდას. უფლებამოსილების გადაცემის საზღვრები, კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ზედამხედველი ექიმის მიერ, გამომდინარე რეზიდენტის აკადემიური მომზადებისა

და ტექნიკური მზაობის ასპექტებიდან. ამგვარი მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის დირექტორისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის (ლოკალური ხელმძღვანელის) ხანგრძლივი დაკვირვებიდან, რომელნიც პასუხისმგებელი არიან რეზიდენტის მიერ ქირურგიული უნარ-ჩვევების ათვისებაზე და ხარისხზე. ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის, მომზადების პროგრამა უნდა მოიცავდეს ზედამხედველობის განხორციელების შემდეგ პრინციპებს:

1. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები შესაძლებელია განისაზღვროს კლინიკის შინაგანაწესით, პოლიტიკით ან სხვა რაიმე პროცედურული ნორმით;
2. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები და წესები პერიოდულად მოწმდებოდეს სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლის გასვლითი ვიზიტების დროს;
3. სათანადო ზედამხედველობა ხელს არ უნდა უშლიდეს პროგრესულ და შედარებით უფრო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებას რეზიდენტებთან დაკავშირებით; ამგვარად, ზედამხედველობის ტიპი შესაძლებელია ვარირდეს კლინიკური სიტუაციებისა და რეზიდენტის მომზადების ეტაპისა და დონის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, პროგრამის დირექტორი და მოდულზე პასუხისმგებელი პირი (ლოკალური ხელმძღვანელი) ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი რჩევის მიცემის, დახმარების ან კონსულტაციური მხარდაჭერისათვის.

ზოგადი ქირურგიის რეზიდენტები პროგრამაში მონაწილეობისას უნდა აკმაყოფილებდნენ დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს. წლიდან წლამდე, რეზიდენტთა აკადემიური კომპეტენციისა და კლინიკური უნარ ჩვევების პროგრესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება რეზიდენტთა შეფასების სისტემის საშუალებით. რეზიდენტთა საბაზისო და კლინიკური ცოდნის, კლინიკური უნარ-ჩვევების, ზოგად სამედიცინო ასპექტებისა და სხვა კომპონენტების შეფასების ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს იყრის რეზიდენტურის პროგრამის დირექტორთან. რეზიდენტთა განვითარების და მოქმედების პროგრესის მონიტორინგი ეტაპობრივად ხორციელდება თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ. რეზიდენტის შეფასება შესაძლებელია მოხდეს გამოცდის ტიპით მოწყობილი გამოკითხვით: ზეპირი, ტესტური, წერილობითი და ჩვევებზე უშუალო ზედამხედველობის სახით. მოდულის დასრულების შემდეგ შეფასების ანგარიში გადაეგზავნება პროგრამის დირექტორს განსახილველად და ხელმოწერისათვის. რეზიდენტთა შეფასების პოლიტიკა მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის პრომოციის, სრულყოფის, გამოსწორების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თვალსაზრისით. გათვალისწინებულია, რეზიდენტთა შეფასება განხორციელდეს OSCE სისტემის საშუალებით.

#### 4. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი

სარეზიდენტო პროგრამა წარმოდგენილია 3 ნაწილად: ა) საწყის (ქირურგიაში ზოგადი მზადების კურიკულუმი), ბ) შუალედურ და გ) უმაღლეს საფეხურებად. საწყის საფეხურზე მზადების მიზანია მიღწეულ იქნას ცოდნა, უნარჩვევები და ქცევა, რომელიც ერთნაირად სჭირდებათ ქირურგიული სპექტრის სხვადასხვა სპეციალისტებს, ასევე არჩეული ქირურგიული სპეციალობის ზოგიერთი საწყისი კომპეტენციები. შუალედურ და უმაღლეს საფეხურებზე ჭარბობს არჩეულ (კონკრეტულ) სპეციალობაში საქმიანობის მოცულობითი წილი. უმაღლეს საფეხურზე გათვალისწინებულია ერთ ან რამდენიმე არჩეულ სფეროში მზადების (სპეციალიზაციის) შესაძლებლობა, რეზიდენტის ინტერესის გათვალისწინებით.

#### 4 წლიანი სასწავლო გეგმა

##### რეზიდენტურის პროგრამა “ზოგადი ქირურგია” – 48 თვე 4 (წელი)

##### პროფესიული მზადების I წელიწადი

მოდული №№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ზოგადი ქირურგია I	10 თვე
1.2.	ლაპაროსკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი) -	1 თვე.

##### პროფესიული მზადების II წელიწადი

მოდული №№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
-----------	--------------------	--------------

2.1.	ზოგადი ქირურგია II (ზოგ.ქირ 3 თვე + ონკოქირურგია 2 თვე)	5 თვე
2.2.	ინტენსიური თერაპია	2 თვე
2.3.	ენდოსკოპია	1 თვე
2.4.	რადიოლოგია	1 თვე
2.5.	დამწვრობა	1 თვე
2.6	ება-სახის ქირურგია	1 კვირა
2.7	სასამართლო მედიცინა	3 კვირა

**პროფესიული მზადების III წელიწადი**

მოდული №№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	ზოგადი ქირურგია III (ზოგ. ქირ. 4 თვე + კოლოპროქტოლოგია ონკოლოგიით 2 თვე)	6 თვე
3.2.	ტრანსმეტოლოგია-ორთოპედია	1 თვე
3.3.	სისხლძარღვთა ქირურგია	1 თვე
3.4.	უროლოგია	1 თვე
3.5.	ნეიროქირურგია	1 თვე
3.6	პალსტიკური ქირურგია	1 თვე

**პროფესიული მზადების IV წელიწადი**

მოდული №№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
4.1	კარდიოქირურგია	1 თვე
4.2.	ბავშვთა ქირურგია	2 თვე
4.3.	გინეკოლოგია	1 თვე
4.4.	ტრანსპლანტოლოგია	1 თვე
4.5.	ლაპაროსკოპიული ქირურგია (კლინიკური კურსი)	1თვე
4.6	ზოგადი ქირურგია IV (ზოგ.ქირ 4 თვე + ენდოკრინული ქირურგია ონკოქირურგიით 1 თვე)	5 თვე

**შენიშვნა:** 4 წლიანი სწავლების ვადა გულისხმობს, 44 სასწავლო და 4 საშვებულებო თვეს.

**5. აკადემიური პერსონალი და საბანმანათლებლო რესურსები**

**პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:**

1. რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად.
2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმდინეეობაზე კონტროლი.
3. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ყოველწლიური ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინი დაწესებულების მითითებით.
4. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
6. მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება.
7. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადაამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის წარდგენა

აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის ადმინისტრაციაში რეზიდენტის გარიცხვის შესახებ.

8. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტთან/მაძიებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.
9. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ საზღვარგარეთ გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

**მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანუ ლოკალური ხელმძღვანელის მოვალეობები:**

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა.
2. პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან ერთად რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა.
3. რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
4. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისთვის/დირექტორისთვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
6. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

**რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:**

1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
2. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეუფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის ხელმძღვანელს;
3. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს განაგრძოს პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში;
4. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
5. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
6. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების/სასწავლებლის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
7. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი შეიძლება გარიცხულ იქნას ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;
8. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია გაიაროს ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება ტარდება – აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად.
9. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად ეძლევა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა.
10. პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ განესაზღვრება მოდულის/მოდულების ნუსხა, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.

ზოგადქირურგიული სარეზიდენტო სასწავლო პროგრამა კონცენტრირებული უნდა იყოს ფართო რეგიონულ და სასწავლო პოსპიტალებში/საუნივერსიტეტო კლინიკებში, სადაც ადვილად ხელმისაწვდომია ყველა საჭირო სამედიცინო და ტექნიკური საშუალებები. თითოეულ განყოფილებაში უნდა იყოს საშუალოდ 4 ან მეტი ქირურგი, რომელთაგან თითოეული მათგანი წელიწადში დაახლოებით 30-ზე მეტ დამოუკიდებლად ოპერაციას და/ან ასისტენციას უნდა ასრულებდეს.

## 6. პროგრამის ხანგრძლივობა

ზოგად ქირურგიაში დიპლომის შეძღვომი მზადების პერიოდი მოიცავს მინიმუმ 4 წელს (44 თვეს). პროგრამის მიმდინარეობის დროს, კვალიფიკაციის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლივობით. პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 45 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში. მომზადების პერიოდში რესურსების სიმცირის, პროგრამის უწყვეტობისა და მიმდინარეობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაძლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, თუ კვალიფიკაციის მაძიებელი ვერ შეასრულებს დანართი 2-ში გათვალისწინებულ კლინიკურ უნარ-ჩვევათა მინიმალურად საკმარისი რაოდენობის კვოტას, პროგრამის ფაკულტეტი განიხილავს საკითხს პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდასთან და კლინიკური ბაზის შეცვლასთან დაკავშირებით.

## 7. პროგრამის განახლების პერიოდულობა

პროგრამის განახლება უნდა ხდებოდეს 4 წელიწადში ერთხელ.

## II. პროგრამის ზოგადი ნაწილი (სწავლების საწყისი ეტაპი)

### პროგრამის I ეტაპის საწყისი ეტაპი პროფესიული მზადების I წლი (PGY I)

მზადების პირველი წლის მოდულების რაოდენობა არის 2: ზოგადი ქირურგია I, ლაპაროსკოპული ქირურგია (საბაზისო ნაწილი).

### პროფესიული მზადების I წლის (PGY I) მიზანი

ზოგად ქირურგიაში დიპლომისშემდგომი მომზადების პროგრამის რეზიდენტის საქმიანობის აქცენტრირება უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა ქირურგიული ავადმყოფის პირველად მოვლაზე. რეზიდენტის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს პრე- და პოსტოპერაციული მოვლა; ამავდროულად მისი საქმიანობა უნდა მოიცავდეს ოპერაციული აქტივობის თანდათანობით ზრდასაც. პაციენტის მოვლაზე მეთვალყურეობას ახორციელებენ უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი, რომლებიც უფლებამოსილებას უნაწილებენ უმცროს რეზიდენტს ამ საქმიანობის დროს. სწავლების პირველი წლიდანვე უნდა შეიქმნას კოლეგიური და აკადემიური ატმოსფერო, რათა უმცროსმა რეზიდენტმა შეძლოს, ისწავლოს უფრო გამოცდილი სამედიცინო პერსონალისაგან. უმცროსი რეზიდენტი უნდა გათვითცნობიერდეს ქირურგიულ დაავადებათა ფიზიოლოგიურ და მეტაბოლურ ასპექტებში, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს კონკრეტულ ავადმყოფთა მდგომარეობაზე, რომელიც კლინიკაში ამ მომენტისათვის გადის მკურნალობის კურსს. როგორც უკვე აღინიშნა, უმცროსი რეზიდენტი, პირველი წლიდანვე ეტაპობრივად უნდა ჩაერთოს ოპერაციულ აქტივობაში, უფროსი რეზიდენტისა და ზედამხედველი ექიმის უშუალო ხელმძღვანელობით.

### პროფესიული მზადების I წლის მოდულები

#### მოდული 1.1.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ზოგადი ქირურგია – 10 თვე
2. მოდულის მიზანი - საწყისი სტადიის მიზანია რეზიდენტს განუვითაროს ქირურგიული საბაზისო და ფუნდამენტური ჩვევები, რაც საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობისთვის. მოდულის მიზანია, საორიენტაციო პროგრამის შემდგომ რეზიდენტს გააცნოს ზოგადი ქირურგიის ძირითადი კომპონენტები. რეზიდენტმა უნდა აითვისოს პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციული მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ასევე ქირურგიული ინფექციისა და

კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებებს, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება. მათ შორის უნდა დაეუფლოს ჭრილობის პირველად ქირურგიულ დამუშავებას, დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი უნდა დაეუფლოს ქირურგიული ავადმყოფის შეფასების უნარებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს პემოდინამიკურ და პომეოსტაზურ მანევრებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რეზიდენტი, რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს პოლიკლინიკური ქირურგიის ტიპურ მანიპულაციებს. მოღულის ბოლოს, რეზიდენტი ეუფლება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქირურგიულ კომპონენტებს, მათ შორის ტრაქეოტომიის, ტრაქეის ინტუბაციის ტექნიკას და თეორიულ საფუძვლებს.

**3. მოღულის ამოცანები:** დასახული მიზნებიდან გამომდინარე, რეზიდენტმა უნდა შესძლოს აითვისოს ჩირქოვანი ქირურგიის პრინციპები, რაც უნდა გამოიყენოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულების დროს, კერძოდ: აბსცესების და ფლეგმონების დრენირება, პანარიციუმის, ჰიდრადენიტის და სხვა ჩირქოვანი კერების გახსნა და დრენირება. მოგვიანებით, რეზიდენტი ეუფლება ლაპაროტომიისა და ლაპაროტომიული ჭრილობის დახურვის ტექნიკასა და პრინციპებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი მანიპულაციების ათვისებას, როგორცაა ქირურგის კომპეტენციაში შემავალი ანატომიური სტრუქტურების აღდგენას (ნერვი, სისხლძარღვი, მყესი). რეზიდენტი ეუფლება ბიოფსიური მასალის მოპოვების ტექნიკას და ბოლო თვეში მან უნდა შეისწავლოს ასევე ლაპაროსკოპიის, როგორც ქირურგიული მიდგომის ერთ-ერთი სახის ძირითადი პრინციპები. მას უნდა შეეძლოს ასისტენცია ლაპაროსკოპული ოპერაციების დროს; მან ასევე უნდა შესძლოს ლაპაროსკოპული ოპერაციის დაწყება და ამისათვის საკმარისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა.

#### **ლიტერატურის ნუსხა -**

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ.კიკალიშვილი, ე.ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25<sup>th</sup> edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

[http://www.medtrng.com/tutorials\\_and\\_simulators\\_part\\_8.htm](http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm)  
(clinical surgery, surgical videos).

[www.surgical-tutor.org.uk](http://www.surgical-tutor.org.uk)

<http://www.surgicalcourses.org.uk/>

[www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm](http://www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm)

<http://www.update-software.com/publications/cochrane/>

<http://www.ncepod.org.uk/>

<http://www.intumed.com/>

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოღულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1-ის სახით).**

ცხრილი № 1.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>ზოგადი ქირურგიული ჩვევები:</p> <p>უსაფრთხო ქირურგიის პრინციპები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის</li> <li>ხელის დაბანის, დამუშავებისა და ხელთათმნის ჩაცმის პრინციპები</li> <li>ქირურგებისა და ავადმყოფებისათვის იმუნიზაციის პროტოკოლები</li> </ul> <p>ადგილობრივი ანესთეზიის დანიშვნა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>საანესთეზიო პრეპარატის შერჩევა</li> </ul> <p>ქირურგიული ჭრილობები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ჭრილობების კლასიფიკაცია</li> <li>ჭრილობის მართვის პრინციპები</li> <li>ჭრილობის შეხორცების პათოფიზიოლოგია</li> <li>ნაწიბურები და კონტრაქტურები</li> <li>კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა: <ul style="list-style-type: none"> <li>ლანგერის საზები</li> <li>ინსტრუმენტის არჩევა</li> <li>უსაფრთხო პრაქტიკა</li> </ul> </li> <li>კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა <ul style="list-style-type: none"> <li>ჭრილობის ყრუდ გაკერვის ჩვენებები</li> <li>საკერავი ძაფისა და ნემსის არჩევა</li> </ul> </li> <li>კვანძის დადება <ul style="list-style-type: none"> <li>ნაკერისა და ლიგატურის დასადები მასალა და მათი შერჩევა</li> <li>ქირურგიული ნაკერებისა და ლიგატურებისთვის კვანძების უსაფრთხო გამოყენება</li> </ul> </li> <li>პემოსტაზი <ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ტექნიკა</li> <li>დიათერმიის პრინციპები</li> <li>ინსტრუმენტების შერჩევა</li> </ul> </li> <li>ბიოფსიის ტექნიკა ასპირაციული ციტოლოგიური მასალის აღების ჩათვლით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის <ul style="list-style-type: none"> <li>ეფექტური და საიმედო ხელის დაბანვა, ხელთათმნის ჩაცმა და სტერილური ხალათის ჩაცმა</li> </ul> </li> <li>❖ ადგილობრივი ანესთეზიის ტექნიკა, საანესთეზიო აგენტის სწორი და უსაფრთხო გამოყენება</li> <li>❖ კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა: <ul style="list-style-type: none"> <li>სკალპელის, დიათერმიის და მაკრატლის გამოყენება</li> </ul> </li> <li>❖ კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა <ul style="list-style-type: none"> <li>ჭრილობის კიდეების ზუსტი და დაუჭიმავე შეპირისპირება</li> </ul> </li> <li>❖ კვანძის დადება: <ul style="list-style-type: none"> <li>ერთი ხელით</li> <li>ორი ხელით</li> <li>ინსტრუმენტით</li> <li>ზედაპირული</li> <li>ღრმა</li> </ul> </li> <li>❖ პემოსტაზი: <ul style="list-style-type: none"> <li>სისხლმდენი სისხლძარღვის (ზედაპირული) კონტროლი</li> <li>დიათერმია</li> <li>ლიგირება ნაკერით</li> <li>კვანძოვანი ლიგირება</li> <li>კლიპირება</li> <li>ტრანსფიქსიური ნაკერი</li> </ul> </li> <li>❖ ქსოვილის რეტრაქცია: <ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული პინცეტი</li> <li>ჭრილობის რეტრაქტორის მოთავსება</li> </ul> </li> </ul>	<p>30</p> <p>10</p> <p>20</p> <p>20</p> <p>100</p> <p>50</p> <p>20</p> <p>20</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>• დრენაჟის გამოყენება <ul style="list-style-type: none"> <li>○ ჩვენება</li> <li>○ ტიპები</li> <li>○ მენეჯმენტი/ამოღება</li> </ul> </li> <li>• ანასტომოზის ფორმირების პრინციპები</li> <li>• ქირურგიული ენდოსკოპიის პრინციპები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ დრენაჟის გამოყენება: <ul style="list-style-type: none"> <li>• ჩადგმა</li> <li>• ფიქსაცია</li> <li>• ამოღება</li> <li>•</li> </ul> </li> <li>❖ ქსოვილის დამუშავება: <ul style="list-style-type: none"> <li>• ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება და ქსოვილებთან ფაქიზი მოპყრობა</li> <li>• ბიოფსიის ტექნიკა</li> </ul> </li> <li>❖ ასისტენტობის ჩვევები <ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერატორის ასისტირება</li> </ul> </li> </ul>	<p>20</p> <p>10</p> <p>20</p>	
<p>წინასაოპერაციო მართვა: ინტრაოპერაციული მართვა: პოსტოპერაციული მართვა: წინასაოპერაციო შეფასება და მენეჯმენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია</li> <li>• შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევების წინასაოპერაციო კორექცია</li> <li>• სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი</li> <li>• თირკმლის უკმარისობა</li> <li>• სეფსისის პათოფიზიოლოგია – პრევენცია და პროფილაქტიკა</li> <li>• თრომბო-ემბოლიის პროფილაქტიკა</li> <li>• ლაბორატორიული ანალიზები და ინსტრუმენტული კვლევები</li> <li>• ოპერაციის რისკ ფაქტორები</li> <li>• პრემედიკაცია და სხვა პრეოპერაციული დანიშნულება</li> </ul> <p>ინტრაოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსაფრთხოება საოპერაციო ში, რაშიც შედის ასევე ავადმყოფის სწორი პოზიცია საოპერაციო მაგიდაზე და ნერვის დაზიანების თავიდან აცილება</li> <li>• უსაფრთხოება ბასრი ინსტრუმენტების მიმართ</li> <li>• დიათერმია, ლაზერის გამოყენება</li> <li>• ინფექციის რისკები</li> <li>• რადიაციის გამოყენება და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ პრეოპერაციული შეფასება და მენეჯმენტი <ul style="list-style-type: none"> <li>• ავადმყოფის გასინჯვა და ისტორიის შეესება</li> <li>• წინასაოპერაციო კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია</li> <li>• თანმხლები დაავადებების მენეჯმენტი</li> <li>• რეანიმაცია</li> <li>• შესაბამისი პრეოპერაციული დანიშნულება პრემედიკაციის ჩათვლით</li> </ul> </li> <li>❖ ინტრაოპერაციული მზრუნველობა: <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტრაოპერაციული მზრუნველობის უსაფრთხო წარმოება</li> <li>• ავადმყოფის სწორი პოზიცია</li> <li>• ნერვის დაზიანების პრევენცია</li> <li>• ბასრი ინსტრუმენტებით - დაზიანების პრევენცია</li> <li>• დიათერმული დაზიანების პრევენცია</li> <li>• ვენური თრომბოზის პრევენცია</li> </ul> </li> <li>❖ პოსტოპერაციული მზრუნველობა: <ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერაციის ჩანაწერების გაკეთება</li> </ul> </li> </ul>	<p>20</p> <p>20</p> <p>30</p> <p>15</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმები აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>



<p>რისკები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლახტის გამოყენება მისი ჩვენების, ეფექტების და გართულებების ჩათვლით</li> <li>• ადგილობრივი, რეგიონალური და ზოგადი ანესთეზიის პრინციპები</li> <li>• ინვაზიური და არაინვაზიური მონიტორინგის პრინციპები</li> <li>• ვენური თრომბოზის პრევენცია</li> <li>• ოპერაცია ჰეპატიტის და შიდსის ვირუსის მატარებლებში</li> <li>• სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი</li> </ul> <p>პოსტოპერაციული მზრუნველობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პოსტოპერაციული მონიტორინგი</li> <li>• კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია</li> <li>• სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი</li> <li>• შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევები</li> <li>• თირკმლის უკმარისობა</li> <li>• სისხლის დანაკარგის პათოფიზიოლოგია</li> <li>• სეფსისის პათოფიზიოლოგია SIRS - ის და შოკის ჩათვლით</li> <li>• მულტიორგანული დისფუნქციის სინდრომი</li> <li>• ზოგადად პოსტოპერაციული გართულებები</li> <li>• პოსტოპერაციული ანალგეზიის მეთოდები</li> </ul> <p>კვების მენეჯმენტის შეფასება და დაგეგმვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პოსტოპერაციული კვება</li> <li>• მალნუტრიციის ეფექტები – როგორც ჭარბი კვება, ისე გამოფიტვა</li> <li>• დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი</li> <li>• კვების სტატუსის სკრინინგისა და შეფასების მეთოდები</li> <li>• ენტერალური და პარენტერალური კვების მეთოდები</li> </ul> <p>ჰემოსტაზი და სისხლის კომპონენტები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰემოსტაზის მექანიზმი, მათ შორის შედეგების კასკადი</li> <li>• დარღვეული ჰემოსტაზის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ავადმყოფის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი</li> <li>• პოსტოპერაციული ანალგეზია</li> <li>• სითხეებისა და ელექტროლიტების მენეჯმენტი</li> <li>• ორგანოთა მოსალოდნელი უკმარისობის გამოვლენა</li> <li>• ორგანოთა უკმარისობის საწყისი მენეჯმენტი</li> <li>• დიალიზის პრინციპები და ჩვენებები</li> <li>• პოსტოპერაციული გართულებების ამოცნობა, პრევენცია და მკურნალობა</li> </ul> <p>❖ ჰემოსტაზი და სისხლის პროდუქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იმ მდგომარეობათა ამოცნობა, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ჰემორაგიულ დიათეზამდე</li> <li>• ოპერაციის დროს კოაგულოპათიური სისხლდენის ამოცნობა</li> <li>• სისხლის პროდუქტების სათანადო გამოყენება</li> <li>• სისხლის პროდუქტების ტრანსფუზიის გართულებების მენეჯმენტი</li> </ul> <p>❖ კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლიზმი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რისკის ქვეშ მყოფი ავადმყოფების ამოცნობა</li> <li>• პულმონარული ემბოლიზმისა და ღრმა ვენების თრომბოზის ამოცნობა და დიაგნოზი</li> <li>• ვენური თრომბოზისა და პულმონარული</li> </ul>	<p>10</p> <p>20</p> <p>10</p> <p>10</p> <p>8</p> <p>10</p> <p>20</p> <p>20</p>	
--	---	--	--

<p>პათოლოგია. მაგ.: ჰემოფილია, ღვიძლის დაავადებები, მასიური ჰემორაგია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სისხლის კომპონენტები</li> <li>• სისხლის პროდუქტების გამოყენების ალტერნატივა</li> <li>• სისხლის პროდუქტების დანიშვნის პრინციპები</li> <li>• სისხლის პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული ავადმყოფის უსაფრთხოება</li> </ul> <p>კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლიზმი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შედეგების მექანიზმი.</li> <li>• ოპერაციის და ტრავმის ზემოქმედება კოაგულაციის პროცესზე</li> <li>• ტესტები თრომბოფილიაზე და კოაგულაციის სხვა დარღვევებზე</li> <li>• კვლევის მეთოდები თრომბოემბოლიურ დაავადებაზე ექვის დროს</li> <li>• ვენური თრომბოზისა და ფილტვის ემბოლიზმის მკურნალობის პრინციპები, ანტიკოაგულაციის ჩათვლით</li> <li>• თრომბოემბოლიზმის პროფილაქტიკა</li> <li>• ღრმა ვენების თრომბოზის რისკის კლასიფიკაცია და მენეჯმენტი</li> <li>• ღრმა ვენების თრომბოზის პრევენციის მექანიკური და ფარმაკოლოგიური მეთოდების ცოდნა</li> </ul> <p>ანტიბიოტიკები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიულ ავადმყოფებში ძირითადი პათოგენები</li> <li>• ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობა</li> <li>• ანტიბიოტიკების გვერდითი მოვლენები</li> <li>• პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრინციპები</li> </ul> <p>პერიოპრაციულ მენეჯმენტთან დაკავშირებული მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თირეოიდული ჰორმონის სიჭარბისა და ღეფიციტის პათოფიზიოლოგია და მასთან ასოცირებული ოპერაციული რისკები</li> </ul>	<p>ემბოლიზმის საწყისი და მონიტორული მკურნალობა პროფილაქტიკის დაწყება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ატიბიოტიკები <ul style="list-style-type: none"> <li>• ანტიბიოტიკების სათანადო დანიშნულება</li> </ul> </li> <li>❖ პრეოპერაციული კვებითი მკურნალობის შეფასება და დაგეგმვა <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელოვნური კვების უზრუნველყოფისათვის ს მიდგომის ორგანიზება; უპირატესად საკვები დანამატები, ენტერალური კვება და პარენტერალური კვება</li> </ul> </li> <li>❖ მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები <ul style="list-style-type: none"> <li>• ენდოკრინული და ელექტროლიტური დაზიანების მქონე ავადმყოფების ისტორიის შეგროვება და გასინჯვა</li> <li>• თირეოტოქსიკოზის და ჰიპოთირეოიდიზმის კვლევა და მენეჯმენტი</li> <li>• ჰიპერ- და ჰიპოკალცემიის კვლევა და მენეჯმენტი</li> <li>• სტეროიდულ თერაპიაზე მყოფი ავადმყოფების პერიოპერაციული მენეჯმენტი</li> <li>• შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფების პერიოპერაციული მენეჯმენტი</li> <li>• ჰიპონატრიემიის კვლევა და მენეჯმენტი</li> <li>• ჰიპერ- და ჰიპოკალიემიის კვლევა და მენეჯმენტი</li> </ul> </li> </ul>	<p>20</p> <p>20</p> <p>10</p> <p>10</p> <p>5</p> <p>10</p> <p>10</p> <p>10</p> <p>5</p> <p>9</p> <p>10</p>	
--	---	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ჰიპერ- და ჰიპოკალცემიის მიზეზები და შედეგები</li> <li>• კორტიკოსტეროიდული თერაპიის გართულებები</li> <li>• სტეროიდული უკმარისობის მიზეზები და შედეგები</li> <li>• შაქრიანი დიაბეტის გართულებები</li> <li>• ჰიპონატრემიის მიზეზები და შედეგები</li> <li>• ჰიპერკალემიისა და ჰიპოკალემიის მიზეზები და შედეგები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცენტრალური ვენის კათეტერის ჩადგმა</li> <li>• ურეთრის კათეტერიზაცია</li> </ul>	<p>5</p> <p>10</p>	
<p>ქირურგიული ტექნიკა და ტექნოლოგია:</p>	<p>ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება.  ბარძაყის ამპუტაცია,  ფალანგების ამპუტაცია,  ფალანგების ამოსახსვრა,  წინამხრის ამპუტაცია,  ტერფის ამპუტაცია შარპის მიხედვით,  ტერფშორისი ამოსახსვრა ლისფრანკის წესით,  წვივის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია,  ბარძაყის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია,  სუპრაკონდილური ამპუტაცია  სისხლძარღვთა ლიგაცია,  ნეერორაფია,  ტენდორაფია,  ლაპაროტომია და ლაპაროტომიული ჭრილობის დახურვა,  ღვიძლის ბიოფსია  ლაპაროსკოპული ტექნიკის ათვისება</p>	<p>20</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>20</p> <p>5</p> <p>5</p> <p>30</p> <p>5</p> <p>5</p> <p>10</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ურნალში.</p>

	ტრაქეოსტომია, ტრაქეის ინტუბაცია	5 5	
<p>ძირითადი ქირურგიული დაავადებები არსებული სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აბდომინური ტკივილი</li> <li>• აბდომინური შებერილობა</li> <li>• ნაწლავთა პერისტალტიკის ცვლილებები</li> <li>• გასტროინტესტინური სისხლდენა</li> <li>• რექტალური სისხლდენა</li> <li>• დისფაგია</li> <li>• დისპეფსია</li> <li>• სიყვითლე</li> </ul> <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აპენდიციტი</li> <li>• გასტროინტესტინური ავთვისებიანი სიმსივნე</li> <li>• ნაწლავის ანთებითი დაავადება</li> <li>• დივერტიკულური დაავადება</li> <li>• ნაწლავის ობსტრუქციული გაუვალობა</li> <li>• შესორცებები მუცლის ღრუში</li> <li>• მუცლის წინა კედლის თიაქრები</li> <li>• პერიტონიტი</li> <li>• ნაწლავის პერფორაცია</li> <li>• საყლაპავის კეთილთვისებიანი დაავადება</li> <li>• პეპტიური წყლულოვანი დაავადება</li> <li>• ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და პანკრეასის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებები</li> <li>• ჰემოროიდული და პერიანალური დაავადებები</li> </ul> <p>მუცლის კედლის სტომების გაფორმებაა</p> <p>სარძევე ჯირკვლის დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძუძუს სიმსივნეები და დვრილის გამონადენი</li> <li>• ძუძუს მწვავე ტკივილი</li> </ul> <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძუძუს კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები</li> <li>• მასტიტი და ძუძუს აბსცესი</li> </ul> <p>პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები, წარმოდგენილი სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კიდურის ქრონიკული და მწვავე იშემია</li> </ul>			<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ანევიზმული დაავადება</li> <li>• ტრანზიტორული იშემია</li> <li>• ვენების ვარიკოზული დაავადება</li> </ul> <p>ქვემო კიდურის დაწვლულება მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არტერიების ათეროსკლეროზული დაავადება</li> <li>• არტერიების ემბოლიური და თრმბოზული დაავადებები</li> <li>• ვენური უკმარისობა</li> <li>• დიაბეტური დაწვლულება</li> </ul> <p>ენდოკრინული დაავადებები სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კისრის სიმსივნეები</li> </ul> <p>მწვავე ენდოკრინული კრიზი მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თირიოიდული და პარათირეოიდული დაავადებები</li> <li>• თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები</li> <li>• შაქრიანი დიაბეტი</li> </ul>			
<p>პოლიტრავმა</p> <p>ზოგადი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზიანებული ავადმყოფების შეფასების ქულობრივი სისტემა</li> <li>• უბედური შემთხვევის ტრიაჟი</li> </ul> <p>განსხვავებები ბავშვებში</p> <p>შოკი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შოკის პათოგენეზი</li> <li>• შოკი და კარდიოვასკულარული ფიზიოლოგია</li> <li>• დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი</li> <li>• მოზრდილთა რესპირატორული დისტრეს სინდრომი</li> <li>• არაჯვარედინი შეთავსების სისხლის გამოყენების ჩვენება</li> </ul> <p>ჭრილობებისა და რბილი ქსოვილების დაზიანებები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ცეცხლსასროლი იარაღითა და ჭურვით დაზიანებები</li> <li>• დანით მიყენებული ჭრილობები</li> <li>• ადამიანისა და ცხოველის ნაკბენი</li> <li>• რბილი ქსოვილების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ზოგადი <ul style="list-style-type: none"> <li>• ანამნეზი, გასინჯვა კვლევა</li> <li>• შესაბამის ქირურგიულ სუბსპეციალობისკენ გადამისამართება</li> </ul> </li> <li>❖ იმ ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი, რომლებმაც მიიღეს გულმკერდის, თავის, ხერხემლის, მუცლის ან კიდურების დაზიანებები</li> <li>❖ მრავლობითი დაზიანების მქონე ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი</li> <li>❖ სპეციფიური პრობლემები <ul style="list-style-type: none"> <li>• უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მენეჯმენტი</li> <li>• კანის დანაკარგის (დეფიციტის) საწყისი მენეჯმენტი</li> <li>• დამწვრობის საწყისი</li> </ul> </li> </ul>	<p>5</p> <p>5</p> <p>5</p> <p>5</p> <p>2</p> <p>5</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>

<p>დაზიანების ბუნება და მექანიზმი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რბილი ქსოვილების დაზიანების მენეჯმენტის პრინციპები</li> <li>• ტრავმული ჭრილობების მენეჯმენტის პრინციპები</li> <li>• კომპარტმენტ სინდრომი</li> </ul> <p>დამწვრობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამწვრობის კლასიფიკაცია</li> <li>• დამწვრობის მენეჯმენტის პრინციპები</li> </ul> <p>მოტეხილობები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოტეხილობების კლასიფიკაცია</li> <li>• მოტეხილობების პათოფიზიოლოგია</li> <li>• მოტეხილობების მენეჯმენტის პრინციპები</li> <li>• მოტეხილობების გართულებები</li> <li>• სახსრების დაზიანებები</li> </ul> <p>ორგანოსპეციფიური ტრავმა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თორაკალური ტრავმის პათოფიზიოლოგია</li> <li>• პნევმოთორაქსი</li> <li>• თავის დაზიანებები, რაშიც შედის ინტრაკრანიალური ტრავმული ჰემორაგია და თავის ტვინის დაზიანება</li> <li>• ხერხემლის სვეტის დაზიანება</li> <li>• პერიფერიული ნერვების დაზიანება</li> <li>• მუცლის ბლაგვი და შემავალი ტრავმა</li> <li>• ელენთის დაზიანებით</li> <li>• სისხლძარღვთა დაზიანება, მათ შორის იატროგენული დაზიანებები</li> <li>• კრაშ დაზიანება</li> </ul> <p>კანის დეფიციტის მენეჯმენტის პრინციპები, მათ შორის კანის ტრანსპლანტატები და კანის ნაფლეთები</p>	<p>მენეჯმენტი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ცენტრალური ვენის კათეტერის ჩადგმა</li> <li>❖ გულმკერდის დრენაჟის ჩადგმა</li> <li>❖ დიაგნოსტიკური პერიტონეალური ლავაჟი</li> <li>❖ ურეთრალური კათეტერიზაცია</li> <li>❖ სუპრაპუბიკური კათეტერიზაცია (ეპიცისტოსტომია)</li> </ul>	<p>5</p> <p>5</p> <p>10</p> <p>5</p> <p>15</p> <p>3</p>	
<p>ქირურგიული ინფექცია და მისი პრევენცია:</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აბსცესის (ფლეგმონის) გახსნა</li> <li>• ჭრილობის პირველადი ქირურგიული</li> </ul>	<p>20</p> <p>30</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და</p>

	<p>დამუშავება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პიდრადენიტის დრენირება</li> <li>• სუბფრენული აბსცესის დრენირება</li> </ul>	<p>5</p> <p>3</p>	<p>ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციები ს ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>
--	--	-------------------	--

**მოდული 12.**

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** - – ლაპაროსკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი) -1 თვე.
2. **მოდულის მიზანი და ამოცანები** - კურსის მიზანია სწავლების პროცესში რეზიდენტი გაეცნოს ლაპაროსკოპიული ქირურგიის თანამედროვე ასპექტებს. სწავლების საწყისი ეტაპი ფოკუსირებულია ბაზისური ლაპაროსკოპიული ქირურგიის აუცილებელი კომპონენტების შესწავლაზე, მის შესრულების უპირატესობებზე ტრადიციულ ქირურგიასთან მიმართებაში, ლაპაროსკოპიული მიდგომის ჩვენებებზე და უკუჩვენებებზე და ასევე მისი შესრულების ტექნიკურ სირთულეებზე და გართულებებზე. სწავლების პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტს საშუალება ექნება აითვისოს ბაზისური ლაპაროსკოპიული ტექნიკა, ასევე სასწავლო პროცესის პრაქტიკული ეტაპი ორიენტირებულია თვალისა და ხელის კოორდინაციის, ლაპაროსკოპიული ინსტრუმენტების გამოყენების და სხვადასხვა პრაქტიკული უნარჩვენების ფორმირება, დახვეწაზე.

**ლიტერატურის ნუსხა –**

<p>1.Laparoscopic Surgery Second Edition, edited by Daniel B. Jones, Harvard Medical School</p> <p>2.Brunnicardi.Schwartz's Principles of Surgery.9ed.2009.ISBN007154769X.1888pages.ebook.English</p> <p>3.Laparoscopic Surgery the Nineties ,G Melotti, Ph. Mouret M Meinro / Edition M.Mason 1994</p>
---

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № XXXX-ის სახით).**

ცხრილი № XX

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ლაპაროსკოპიული ქირურგიის განვითარების ისტორია. ლაპ. ქირურგიის უახლესი მიღწევები.	თვალისა და ხელის კოორდინაციის ვარჯიშები (სიმულატორებზე)	10	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს.

			თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
ლაპაროსკოპიული ქირურგიის უპირატესობები, ჩვენებები და უკუჩვენებები, გართულებები	პნეუმოპერიტონეუმის შექმნა. ტროაკარების მოთავსების ტექნიკა. (ქსპერიმენტულ ცხოველზე)	10	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
ლაპაროსკოპიული აპარატურის გამოყენება. ლაპ. ინსტრუმენტები, ტროაკარების სახეობები და მათი გამოყენების თავისებურებები	ექსტრაკორპორალური და ინტრაკორპორალური კვანძის დადება ტექნიკა. აკერის დადების ტექნიკა. (სავარჯიშო მოდელებზე და ექსპერიმენტულ ცხოველებზე)	10	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
პნეუმოპერიტონეუმის პათოფიზიოლოგია, გართულებები, გართულებების	ქსოვილების დისექციის ტექნიკა. (ექსპერიმენტულ ცხოველებზე)	10	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური



პრევენცია			ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
-----------	--	--	--

### III. პროგრამის სპეციფიური ნაწილი

#### სწავლების უმაღლესი ეტაპი

#### პროგრამის II ეტაპის II წლის (PGY II) აღწერილობა

**მუხლი 1.** პროფესიული მზადების მეორე წლის მოდულების რაოდენობაა 7: ზოგადი ქირურგია II, ენდოსკოპია, რადიოლოგია, დამწვრობა, ყბა-სახის ქირურგია სასამართლო მედიცინა

**მუხლი 2.** პროფესიული მზადების II წლის (PGY II) მიზანი: მეორე წლის რეზიდენტი აგრძელებს პრე- და პოსტოპერაციული მოვლის ათვისებას, და გარდა ამისა მისი ოპერაციული აქტივობა საგრძნობლად უნდა იქნეს გაზრდილი. მეორე წლის განმავლობაში, რეზიდენტი როტაციებს გადის და ცოდნას იღრმავებს ზოგადი ქირურგია II, ენდოსკოპიაში, რადიოლოგიაში, დამწვრობაში, ყბა-სახის ქირურგიაში სასამართლო მედიცინაში. ზოგად ქირურგია II-ში როტაციის დროს, რეზიდენტი იღრმავებს ცოდნას ონკოლოგიაში, კოლოპროქტოლოგიაში. რეზიდენტი მონაწილეობას იღებს “მწვავე” ავადმყოფთა მოვლაში, ასევე იგი მუშაობს პოლიკლინიკურ (ამბულატორულ) ქირურგიულ პაციენტებთან. მზადების მეორე წლისათვის, რეზიდენტის მომზადების მთავარი კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, რომ რეზიდენტმა უნდა შესძლოს საბაზისო ცოდნის გამოყენება ქირურგიულ ავადმყოფებთან მიმართებაში. აღნიშნული ტენდენცია უნდა გასდევდეს ყველა როტაციულ ციკლს, რომელიც მეორე წლის რეზიდენტურის პროგრამით არის გათვალისწინებული.

#### პროფესიული მზადების II წლის მოდულები

##### მოდული 2.1.

- 1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** - ზოგადი ქირურგია II (ზოგადი ქირურგია - 3 თვე + ონკოქირურგია - 2 თვე), ხანგრძლივობა 5 თვე
- 2. მოდულის მიზანი** - მოდულის მიზანია, დიპლომის შემდგომი მზადების მესამე წლის განმავლობაში, რეზიდენტის მიერ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება, ასევე ზოგად ქირურგიაში და მომიჯნავე სპეციალობებში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ ჩვევების ეტაპობრივი სინთეზი. ზოგადი ქირურგიის მოდულზე რეზიდენტის მესამე როტაციის მიზანია, წინამდებარე მოდულის მიმდინარეობის დროს, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მამოლოგიის და ქირურგიული ონკოლოგიის საკითხებზე.
- 3. მოდულის ამოცანები:** დასახული მიზნის მისარწევად, რეზიდენტი იღრმავებს თეორიულ ცოდნას პროქტოლოგიაში, გულმკერდის ქირურგიაში, ონკოლოგიაში, მამოლოგიაში. პარალელურად იგი ეუფლება ელენთის დაავადებების და ტრავმების დროს სპლენექტომიას და ელენთაზე ორგანოშემდახველი ოპერაციებს თეორიულ და

პრაქტიკულ ცოდნას. თეორიული კურსი მოიცავს ინკოლოგიის, მამოლოგიის, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა და სხვა უბნების სფინქტერების ფუნქციების შესწავლას და პრაქტიკული ნაწილის შესაბამისი ცოდნის მალეგებასა და დამუშავებას.

**ლიტერატურის ნუსხა -**

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ.კიკალიშვილი, ე.ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25<sup>th</sup> edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

[http://www.medtrng.com/tutorials\\_and\\_simulators\\_part\\_8.htm](http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm)  
(clinical surgery, surgical videos).

[www.surgical-tutur.org.uk](http://www.surgical-tutur.org.uk)

<http://www.surgicalcourses.org.uk/>

[www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm](http://www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm)

<http://www.update-software.com/publications/cochrane/>

<http://www.ncepod.org.uk/>

<http://www.intumed.com/>

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 3.1-ის სახით).

ცხრილი № 3.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სისტემა:	აპენდექტომია, ულცეროგრაფია, Meckel-ის დივერტიკულექტომია, ქოლეცისტექტომია აპენდექტომია (ლაპაროსკოპული), ლაპაროსკოპული სპლენექტომია, ენტეროსტომია, განივი კოლოსტომია, გასტროსტომია, კოლინჯის სტეპლერული ანასტომოზი, კოლოსტომის ლიკვიდაცია, მარცხენამხრივი ჰემიკოლექტომია, მარჯვენამხრივი ჰემიკოლექტომია,	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
ინკოლოგია	მარჯულოვანი		მოდულის

	ილესტომია, სტეპლერული ენტერო-ენტეროსტომია, წვრილი ნაწლავის რეზექცია, წვრილი ნაწლავის სტეპლერული რეზექცია, პანკრეასის ცისტის ან ფსევდოციტის დრენირება		მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
სარძევე ჯირკვალის:	მასტიტის დრენირება, ძუძუს სექტორული რეზექცია	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
ჰემოპოეზური და ლიმფორეტიკული სისტემები:	სპლენექტომია, სპლენური კონსერვაცია (სპლენორაფია),	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
რესპირაციული სისტემა,	გულმკერდის კედლის ჭრილობის პირველადი ქირ. დამუშავება, პლევრის პუნქცია /	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი,

	<p>დრენირება, თორაკოტომია, პნევმოთორაქსია, პულმონექტომია, ლობექტომია / სეგმენტექტომია ტრაქეოსტომია, კარდიორაფია</p>		<p>უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>
--	---	--	---

**მოდული 2.2.**

1. **მოდულის დასახელება, სანგრძლივობა** - ინტენსიური თერაპია, 2 თვე
2. **მოდულის მიზანი** -  

მოდულის მიზანია რეზიდენტს შეასწავლოს ტრავმის შედეგად მიღებული სხვადასხვა დაზიანებების მქონე ავადმყოფის მართვის თავისებურებები. აქცენტი უნდა გააკეთდეს იმ ურთულეს პრობლემებზე, რომელიც უნდა გადაწყდეს ქირურგიული და ინტენსიური ღონისძიებების კომპლექსური გამოყენებით საერთო მიზნის მისაღწევად.
3. **მოდულის ამოცანები:** მომავალმა ზოგადმა ქირურგმა უნდა შეძლოს ტრავმული შოკის დროს ავადმყოფის მართვის პრინციპების გამოყენება და მათი პრაქტიკული განხორციელება. უნდა გადაწყვიტოს პრიორიტეტულობის საკითხები, მიიღოს გადაუდებელი კლინიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც დაემყარება მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. ასევე რეზიდენტმა უნდა გამოიმუშაოს პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის უნარები. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთდეს პოლიტრავმის მართვაზე, ჰემოდინამიკურ მხარდაჭერასა და მონიტორინგზე.

**ლიტერატურის ნუსხა** - იხ. დანართი 1

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 2.2-ის სახით).

ცხრილი № 2.2

<i>თეორიული კურსი</i>	<i>პროფესიული უნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>
<p><u>გადაუდებელი მედიცინა:</u></p>	<p>ანესთეზიოლოგია, რესუსციტაცია, ინტენსიური თერაპია</p>	<p>იხ. დანართი 2</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ინტენსიური</p>

			თერაპიის პალატაში ჩატარებული საქმიანობის შესახებ, რეზიდენტი აკეთებს ჩანაწერებს სარეგისტრაციო ჟურნალში
<u>კრიტიკული ქირურგიული დაავადებები და ინტენსიური თერაპია:</u>	შექლოს ტრავმული შოკის დროს ავადმყოფის მართვის პრინციპების გამოყენება და მათი პრაქტიკული განხორციელება. გადაუდებელი კლინიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც დაემყარება მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. პოლიტრავმის მართვა, ჰემოდინამიკურ მხარდაჭერა და მონიტორინგი. ავადმყოფის მართვა მიმდინარეობს კრიტიკული (ინტენსიური) მედიცინის პალატებში, სადაც ავადმყოფის მართვის თავისებურებების გაცნობა და გარკვეული მანიპულაციების შესრულება რეზიდენტის მზადების აღნიშნული მოდულის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ინტენსიური თერაპიის პალატაში ჩატარებული საქმიანობის შესახებ, რეზიდენტი აკეთებს ჩანაწერებს სარეგისტრაციო ჟურნალში

**მოდული 2.3.**

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ენდოსკოპია, 1 თვე
2. მოდულის მიზანი -

ენდოსკოპია თანამედროვე სამედიცინო დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს და იგი ქირურგიულ მდგომარეობათა მართვის ერთ-ერთი ძირითადი დამხმარე საშუალებად ითვლება. ამდენად, ზოგადი ქირურგის მიერ ენდოსკოპური ტექნიკის ფლობა და მისი შედეგების ინტერპრეტაცია დიდი მნიშვნელობისაა ქირურგიულ ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების წარმატებულად გადასაწყვეტად. ენდოსკოპური მეთოდებით შესაძლებელია არა მარტო სადიაგნოზო, არამედ სამკურნალო მანიპულაციების ჩატარებაც, რაც ენდოსკოპურ ტექნიკას მიმომალურ ინვაზიურ ქირურგიის დარგადაც აყალიბებს. მოდულის მიზანს წარმოადგენს რეზიდენტის მიერ ფიბრო-ენდოსკოპური ტექნიკის გამოყენების შესწავლა და მისი შედეგების ინტერპრეტაციის უნარის ჩამოყალიბება.

3. მოდულის ამოცანები: დასახული მიზნის მისაღწევად, რეზიდენტი 1 თვის განმავლობაში სამუშაო დროს უთმობს პრაქტიკული ფიბრო-ენდოსკოპიის საკითხებს. რეზიდენტმა უნდა აითვისოს: ფიბროსოფაგოგასტროდუოდენო-სკოპია, კოლონოსკოპია და ბრონქოსკოპია. ფიბროსკოპული ტექნიკის გამოყენებით რეზიდენტმა უნდა შეძლოს უცხო სხეულების ამოღება, პეპტიკური წყლულოვანი დაავადების, ასევე ზედა გასტროენტერული ტრაქტის დაავადებების დიაგნოსტიკა. ფიბროსკოპული ტექნიკის საშუალებით რეზიდენტმა უნდა აითვისოს მცირედ ინვაზიური მანიპულაციების ჩატარების ძირითადი პრინციპები:

კოაგულაცია, პოლიპის მოკვეთა. იგი ასევე უნდა გაეცნოს რთულ მანიპულაციებსაც, მაგალითად რეტროგრადულ ენდოსკოპურ ქოლეცისტო-პანკრეატოგრაფიას, კონტრასტის შეყვანის ტექნიკას, საყლაპავის ვარიკოზების ლიგაციას და სხვ. სასურველია თუ რეზიდენტი ასევე გაიმდიდრებს ცოდნას პერკუტანული ენდოსკოპური გასტროსტომიის გაცნობით, ასევე ენდოსკოპური სონოგრაფიის შესაძლებლობების ათვისებითა და კლინიკური შესაძლებლობების ამგვარი გაფართოებით დახვეწოს ავადმყოფთა მართვის საკითხები. პრაქტიკული კურსის პარალელურად, რეზიდენტმა თეორიულად უნდა დაამუშაოს რადიოლოგიის სხვა მეთოდები: (სონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი, რადიონუკლიდური დიაგნოსტიკა და ა.შ.).

**ლიტერატურის ნუსხა - იხ. დანართი 1**

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 2.3-ის სახით).**

ცხრილი № 2.3

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ენდოსკოპია:	ტრაქეიდან/საყლაპავიდან უცხო სხეულის ამოღება, ფიბროსკოპულად უცხო სხეულების ამოღების ტექნიკა; პერკუტანული, ენდოსკოპური გასტროსტომია – PEG; სადიაგნოზო ლაპაროსკოპია; გასტროდუოდენოსკოპია; კოლნოსკოპია; ბრონქოსკოპია; რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია ERCP. პეპტიკური წყლულოვანი დაავადების, ასევე ზედა გასტროენტერული ტრაქტის დაავადებების დიაგნოსტიკა; კოაგულაცია, პოლიპის მოკვეთა; საყლაპავის ვარიკოზების ლიგაცია;	იხ. დანართი 2	ჩატარებული პროცედურები უნდა აღიწეროს და დაფიქსირდეს რეზიდენტის ჟურნალში. თეორიული ცოდნა ფასდება წინა მოდულების მსგავსად.

**მოდული 2.4.**

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - რადიოლოგია, 1 თვე

2. მოდულის მიზანი -

რადიოლოგია თანამედროვე სამედიცინო დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს და იგი ქირურგიულ მდგომარეობათა მართვის ერთ-ერთი ძირითადი დამხმარე საშუალებად ითვლება. ამდენად, ზოგადი ქირურგის მიერ რადიოლოგიური ტექნიკის ფლობა და მისი შედეგების ინტერპრეტაცია დიდი მნიშვნელობისაა ქირურგიულ ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების წარმატებულად გადასაწყვეტად. მოდულის მიზანს წარმოადგენს რეზიდენტის მიერ რადიოლოგიის შესწავლა და მისი შედეგების ინტერპრეტაციის უნარის ჩამოყალიბება.

3. მოდულის ამოცანები: დასახული მიზნის მისაღწევად, რეზიდენტი 1 თვის განმავლობაში სამუშაო დროს უთმობს ექოსკოპიის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის, პოზიტრონულ ემისიული ტომოგრაფიის და სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების შესწავლას. რეზიდენტმა უნდა აითვისოს გულმკერდის და მუცლის ღრუს დაავადებების თანამედროვე სამედიცინო დიაგნოსტიკის საკითხები.

**ლიტერატურის ნუსხა - იხ. დანართი**

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 2.4-ის სახით).**

ცხრილი № 2.4

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<b>რადიოლოგია:</b>	რენტგენოსკოპია გულმკერდის და მუცლის ღრუს; ირიგოსკოპია; სონოგრაფია; კომპიუტერული ტომოგრაფია; ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი; რადიონუკლიდური დიაგნოსტიკა; თერმოგრაფია	იხ. დანართი 2	ჩატარებული პროცედურები უნდა აღიწეროს და დაფიქსირდეს რეზიდენტის უურნალში. თეორიული ცოდნა ფასდება წინა მოდულების მსგავსად.

**მოდული 2.5.**

- 1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - დამწვრობა, 1 თვე**
- 2. მოდულის მიზანი -**

წინამდებარე მოდულის მიზანია ტრავმული დაზიანებების საკითხების შესწავლის გაღრმავება. ამ ეტაპზე ძირითადი პრიორიტეტი ენიჭება თერმულ დაზიანებებს, უპირატესად დამწვრობას და მასთან დაკავშირებულ კლინიკურ პრობლემატიკას. დამწვრობა თავის მხრივ წარმოადგენს დაზიანების ტიპს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ცხელი სითხით, სიცივით, ელექტროდენით, ქიმიური აგენტებით ან რადიაციული დასხივებით. მოდულის მიზანია სწორედ აღნიშნული მდგომარეობების მართვის საკითხებში რეზიდენტისათვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მიცემა.

- 3. მოდულის ამოცანები:** დასახული მიზნის მისაღწევად რეზიდენტი როტაციას გადის თერმული დაზიანებების ცენტრში, სადაც ეცნობა და ითვისებს დამწვრობის შეფასების მეთოდებს. კანის დამწვრობას, ფილტვების დამწვრობას, დამწვრობით დაავადებას. დამწვრობითი დაავადების დროს პროგნოზის და რისკის შეფასებას. დამწვრობითი დაზიანებებისა და დამწვრობითი დაავადების მქონე ავადმყოფის მართვის თავისებურებებსა და სპეციფიკას. მოდული ასევე მოიცავს პლასტიკური ქირურგიის ელემენტებსაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია დამწვრობის შემდგომ წარმოქმნილი ნაწიბურისა და დამწვრობის კვალის კორექციისა და ესთეტიკური რეაბილიტაციისათვის. დამწვრობითი დაავადების დროს ავადმყოფის მართვა მიმდინარეობს კრიტიკული (ინტენსიური) მედიცინის პალატებში, სადაც ავადმყოფის მართვის თავისებურებების გაცნობა და გარკვეული მანიპულაციების შესრულება რეზიდენტის მზადების აღნიშნული მოდულის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს დამწვრობის შემთხვევაში პირველი ჰოსპიტალური დახმარების აღმოჩენა პაციენტისათვის, ასევე საჭიროების შემთხვევაში უფორ სრულყოფილი შეფასებისა და მართვის საკითხების გადაწყვეტა.

**ლიტერატურის ნუსხა - იხ. დანართი 1**

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 2.5-ის სახით).**

ცხრილი № 2.5

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
კომპუსტიოლოგია კანის დამწვრობა, ფილტვების დამწვრობა,	დამწვრობის შეფასების მეთოდები; დამწვრობითი დაზიანებებისა და	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი და

დამწვრობითი დაავადება. დამწვრობითი დაავადების დროს პროგნოზის და რისკის შეფასება; პლასტიკური ქირურგია	დამწვრობითი დაავადების მქონე ავადმყოფის მართვის თავისებურებები და სპეციფიკა. ინტენსიური თერაპია		ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს.
--	---	--	---

**მოდული 2.6.**

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ყბა-სახის ქირურგია, 1 კვირა
2. მოდულის მიზანი - რეზიდენტის მიერ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება ყბა სახის ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკასა, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში.
3. მოდულის ამოცანები - ფართოდ გავრცელებული ყბა-სახის მიდამოს დაავადებების: ოდონტოგენური აბსცესის და ფლეგმონის, ტრავმული დაზიანებების თანამედროვე გადაუდებელი ქირურგიული დახმარება.

ლიტერატურის ნუსხა - იხ. დანართი 1

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 2.6-ის სახით).

ცხრილი № 2.6

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
სახის აბსცესის და ფლეგმონის გართულებების, პროფილაქტიკა, მკურნალობა	სახის აბსცესების და ფლეგმონის ქირურგიული მკურნალობის ტექნიკა.	2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, აფასებს რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიული მომზადების დონეს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
სახის ძვლების ტრავმული დაზიანების დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1.სახის ძვლების ტრავმული დაზიანების დროს, სააუნთქი გზების გამავლობის მიზნით კრიკოტიროიდოტომიის ტექნიკის ათვისება.  2.სახის ძვლების ტრავმული დაზიანების და ცხვირზედაყბის სისხლდენების დროს, სისხლდენის შეჩერების მიზნითა ცხვირის წინა და უკანა ტამპონადის ტექნიკის ათვისება.	2  2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, აფასებს რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიული მომზადების დონეს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.



**მოდული 2.7.**

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** - სასამართლო მედიცინა, 3 კვირა
  2. **მოდულის მიზანი და ამოცანები** - შეასწავლოს რეზიდენტს სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები, რომლებიც აღიძვრება სამართალდამცავი ორგანოების წინაშე გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს. შეასწავლოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერება, ასევე, დაზიანების აღწერის თავისებურებანი სხვადასხვა საგნებითა და იარაღებით მიყენებული დაზიანების დროს, რათა სწორად და სრულფასოვნად აღიწეროს სამედიცინო დოკუმენტებში.
- ლიტერატურის ნუსხა:**
1. ბ. კოლასონია. სასამართლო მედიცინა. სახელმძღვანელო. თბილისი. 2011 წ.
  2. Richard Sheperd, Simpsons Forensic Medicine, 12<sup>th</sup> Edition, 2003.

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 2.7-ის სახით). ცხრილი № 2.7

<i>თეორიული კურსი</i>	<i>პროფესიული უნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>
<p>1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.</p> <p>2. ექიმი-სპეციალისტის მიერ სასამართლო სამედიცინო დოკუმენტების გაფორმების წესი.</p> <p>3. ექიმი ექსპერტის მონაწილეობა გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერების პროცესში.</p> <p>4. ბიოლოგიურ ნივთმტკიცებათა აღების, შეფუთვის, კონსერვაციის წესების ცოდნა.</p>	<p>სასამართლო სამედიცინო დოკუმენტების გაფორმება ექიმის სპეციალისტების მიერ.</p>		<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, აფასებს რეზიდენტის თეორიული მომზადების დონეს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>
<p>5. მკვრივი ბლავი საგნით მიყენებული დაზიანების დახასიათება და მათი აღწერა სამედიცინო დოკუმენტებში.</p> <p>6. ადამიანების და ცხოველების მიერ მიყენებული დაზიანებათა თავისებურებანი.</p> <p>7. მახვილი იარაღით მიყენებული დაზიანებები: ნახვლეტი, ნაკვეთი, ნახვლეტ-ნაკვეთი, ნაჩეხი და ნახერხი ჭრილობების თავისებურებანი.</p> <p>8. სიმაღლიდან ვარდნის დამახასიათებელი დაზიანებათა თავისებურებანი.</p> <p>9. საგზაო ტრანსპორტით მიყენებულ დაზიანებათა თავისებურებანი.</p> <p>10. ცეცხლნასროლი ჭრილობები: შემავალ და გამავალ ცეცხლნასროლ ჭრილობათა განმასხვავებელი ჭრილობები.</p> <p>11. სროლის მანძილის განსაზღვრა ცეცხლნასროლი ჭრილობებისას.</p> <p>12. ძვლებზე მიყენებული დაზიანებების</p>	<p>სამედიცინო დოკუმენტებში დაზიანებათა აღწერის შესწავლა</p>		<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, აფასებს რეზიდენტის თეორიული მომზადების დონეს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p> <p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, აფასებს რეზიდენტის თეორიული</p>

<p>თავისებურებები მკვრივი ბლაგვი საგნითა და ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ დაზიანებებისას.</p> <p>13. აფეთქებით გამოწვეულ დაზიანებათა თავისებურებანი.</p> <p>14. სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმები.</p> <p>15. ასოთმავნებლობისა და ხელოვნურად გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობის თავისებურებანი.</p> <p>16. ქირურგის პასუხისმგებლობა პროფესიულ სამართაღდარღვევაზე.</p>			<p>მომზადების დონეს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>
--	--	--	--

**პროგრამის III ეტაპის (III წლის) აღწერილობა  
პროფესიული მზადების III წლი (PGY III)**

**მუხლი 1. პროფესიული მზადების მესამე წლის მოდულების რაოდენობაა 6:** ზოგადი ქირურგია III, ტრანსმატოლოგია-ორთოპედია, სისხლძარღვთა ქირურგია, უროლოგია, ნეიროქირურგია, პალსტიკური ქირურგია.

**მუხლი 2. პროფესიული მზადების III წლის (PGY III) მიზანი:** მესამე წლის სარეზიდენტო მზადების დროს, ძირითადი აქცენტი უნდა გამახვილდეს რეზიდენტის მიერ კლინიკური მსჯელობის და ქირურგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებაზე როგორც საოპერაციოში, ასევე მის გარეთ შესასრულებელი საქმიანობების დროს. ამ წლიდან, რეზიდენტი უკვე ოფიციალურად უფლებამოსილია და ვალდებულიც არის, შეასრულოს გარკვეული მაკოორდინირებელი როლი I და II წლის რეზიდენტების მიმართ. მან უნდა გაუზიაროს უმცროს კოლეგებს გამოცდილება, დაეხმაროს სპეციალობის ათვისებაში და დავალებების შესრულებაში. მესამე წლის მზადება შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკულად გარდამტეხ ეტაპად ზოგადი ქირურგის ჩამოყალიბების ხანგრძლივ ციკლში. რეზიდენტი დღითიდღე უნდა ზრდიდეს თავისი საქმიანობისა და უფლებამოსილებების ფარგლებს როგორც ჰოსპიტალური, ისე ამბულატორული ქირურგიის განხრით. ამ დროს რეზიდენტი პაციენტებისათვის ასრულებს საკონსულტაციო ფუნქციებსაც. მესამე წლის რეზიდენტის დატვირთვაში მაქსიმალური აქცენტი უნდა გაკეთდეს სასწრაფო და გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციებზე, ზოგადქირურგიული და ტრავმის შემთხვევების დროს. ამ დროს ზედამხედველი ექიმი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს რეზიდენტს შეუქმნას სამუშაო პირობები და გარემო პროგრამის განუხრელი შესრულებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, მესამე წლის დასრულებას თან უნდა მოჰყვეს რეზიდენტის პროფესიული სიმწიფის გარდამტეხ ეტაპზე გადასვლა და კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია კლინიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

**მოდული 3.1.**

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ზოგადი ქირურგია III ხანგრძლივობა – 6 თვე (ზოგადი ქირურგია-4 თვე + კოლოპროქტოლოგია ონკოქირურგიით - 2 თვე)**
2. **მოდულის მიზანია -**  
 ზოგადი ქირურგიის მოდულზე რეზიდენტის მეორე როტაციის მიზანია, ზოგად ქირურგიაში და მომიჯნავე სპეციალობებში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ ჩვევების ეტაპობრივი სინთეზი. წინამდებარე მოდულის მიმდინარეობის დროს, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ქირურგიული ონკოლოგიის და პროქტოლოგიის საკითხებზე.
3. **მოდულის ამოცანები:** მოდულის პრაქტიკული ნაწილი ორიენტირებულია ოპერაციული აქტივობის მკვეთრ გაფართოებაზე. ამ ეტაპზე, რეზიდენტმა უნდა აითვისოს ძირითადი ზოგადქირურგიული ოპერაციების ტექნიკა (აპენდექტომია, ულცერორაფია, ქოლეცისტექტომია და ა.შ.). პარალელურად, რეზიდენტი უკვე იწყებს დამოუკიდებელ პრაქტიკულ მომზადებას კუჭ-ნაწლავის ქირურგიაში. მისი კომპეტენცია უნდა გაიზარდოს წვრილი და მსხვილი ნაწლავის ძირითადი ოპერაციების ათვისებით. აღნიშნული

ოპერაციების გამოყენება რეზიდენტმა უნდა შეძლოს როგორც ქირურგიული დაავადებების, ისე ტრავმული დაზიანებების არსებობის შემთხვევაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქირურგიული ტექნიკის დახვეწას საკერი აპარატების-სტეპლერების გამოყენებით. პრაქტიკული საქმიანობა და თეორიული მასალა მოიცავს ქირურგიული ონკოლოგიის ძირითად ასპექტებს; კერძოდ კოლოპროქტოლოგიას ონკოქირურგიით.

**ლიტერატურის ნუსხა -**

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ.კიკაღიშვილი, ე.ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25<sup>th</sup> edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

[http://www.medtrng.com/tutorials\\_and\\_simulators\\_part\\_8.htm](http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm)

(clinical surgery, surgical videos).

[www.surgical-tutur.org.uk](http://www.surgical-tutur.org.uk)

<http://www.surgicalcourses.org.uk/>

[www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm](http://www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm)

<http://www.update-software.com/publications/cochrane/>

<http://www.ncepod.org.uk/>

<http://www.intumed.com/>

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 2-ის სახით).**

ცხრილი № 2.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ზოგადი ქირურგია II _საჭმლის მომნელებელი სისტემა:	აპენდექტომია, ულცეროგრაფია, Meckel-ის დივერტიკულექტომია, ქოლეცისტექტომია აპენდექტომია (ლაპაროსკოპული), ლაპაროსკოპული სპლენექტომია ვაგოტომია, წერილი ნაწლავის რეზექცია, წერილი ნაწლავის სტეპლერული რეზექცია, პანკრეასის ცისტის ან ფსევდოციტის დრენირება	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება

			რეზიდენტის სარეგისტრაციო ქურნალში.
ონკოლოგია	ენტეროსტომა, განივი კოლოსტომა, გასტროსტომა, კოლინჯის სტეპლერული ანასტომოზი, კოლოსტომის ლიკვიდაცია, მარცხენამხრივი ჰემიკოლექტომა, მარჯვენამხრივი ჰემიკოლექტომა, სწორი ნაწლავის წინა რეზექცია, მარჯულოვანი ილეოსტომა, სტეპლერული ენტერო- ენტეროსტომა,	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება რეზიდენტის სარეგისტრაციო ქურნალში.
პროქტოლოგია, ანორექტული ფუნქციების დიაგნოსტიკა:	ანალური ფისტულის / ნაპრალის ამოკვეთა, ჰემოროიდების ინიექცია და ამოკვეთა, იშორექტული აბსცესის დრენირება და ანალური ფისტულის ამოკვეთა, პილონიდური სინუსის ამოკვეთა	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება რეზიდენტის სარეგისტრაციო ქურნალში.

**მოდული 3.2.**

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ტრავმატოლოგია-ორთოპედია, 1 თვე
2. მოდულის მიზანი -

ორთოპედიული ქირურგია წარმოადგენს ქირურგიის განშტოებას, რომელიც ორიენტირებულია ძვალ-კუნთოვანი სისტემის მწვავე, ქრონიკულ, ტრავმულ დაავადებებზე და სხვა სახის პათოლოგიებზე. ორთოპედები, პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ხვდებიან ავადმყოფებს, რომლებსაც აღენიშნებათ ართრიტი, ტრავმა ან თანდაყოლილი დეფორმაცია, რომელთა მკურნალობა მოითხოვს, როგორც კონსერვატიულ მკურნალობას, ასევე გარკვეულ ქირურგიულ ინტერვენციებს. ზოგადი ქირურგიის ორთოპედიული მოდულის მიზანია, რეზიდენტმა შეძლოს ძირითად ორთოპედიულ პრობლემებში გარკვევა, ორიენტირება და გარკვეულ შემთხვევებში აღქვატური დახმარების გაწევა. ორთოპედი ქირურგის მომზადება მოითხოვს ცალკე

რეზიდენტურის პროგრამას, რომლის საწყისი ეტაპი ეთმობა ზოგად ქირურგია, თუმცა ზოგადი ქირურგიც უნდა ფლობდეს გარკვეულ ცოდნასა და უნარ ჩვევებს, გარკვეულ საზღვრებში ორთოპედიული დახმარების აღმოსაჩენად.

3. **მოდულის ამოცანები:** მოდულის მიმდინარეობის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს ძვალ-სახსართა სისტემის ტრავმულ დაზიანებაზე, განსაკუთრებით კომბინირებული და შერწყმული ტრავმების დროს. რეზიდენტს საშუალება უნდა მიეცეს შეისწავლოს ორთოპედიული ქირურგიის ძირითადი ასპექტები და პარალელურად აითვისოს საგნის თეორიული ნაწილი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძვალ-სახსართა სისტემის დაზიანებათა რადიოლოგიური კვლევის მეთოდებს, ორთოპედიული ტრავმების მართვას.

**ლიტერატურის ნუსხა - იხ.დანართი 1**

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი №3.2-ის სახით).

ცხრილი №3.2

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
რბილი ქსოვილების ტრავმა – დაუეჟილობა, ექსკორიაცია, ჭრილობები. სახსრის ტრავმული დაზიანება – ღრძობა, პოსტტრავმული ართრიტი, ჰემართროზი, სახსრის კუნთოვანი – იოგოვანი აპარატის დაზიანება – მხრის, იდაყვის, სხივ-მაჯის, მენჯ-ბარძაყის, მუხლის და კოჭ-წვივის. სხვადასხვა ლოკალიზაციის მოტეხილობები – ხედა და ქვედა კიდურები, მენჯი.	რბილი ქსოვილების ტრავმის დიაგნოსტიკა, ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება, შეხვევა, მონიტორინგი. ამოვარდნილობის ჩასწორება – მხარი, წინამხარი, სხივ-მაჯის სახსარი, ბარძაყის, წვივი, კვირისტავი, ტერფი. იმობილიზაცია რბილი და თაბაშირის ნახვევით. სახსრის პუნქცია ჰემართროზის დროს. მოტეხილობის კლინიკორენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა. იმობილიზაცია – არტაშნით, რბილი დაჭიმვით, თაბაშირის ნახვევით.	იხ. დანართი 2	რეზიდენტის პრაქტიკული აქტივობა და თეორიული მზადების შედეგები ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში
	ოსტეოტომია, ოსტეოსინთეზი, სეკვესტრექტომია, ძვალშიგა ფიქსაცია, ძვლის პლასტიკა, ძვლის რეზექცია, ართროტომია, ართროპლასტიკა, ართროდეზი	იხ. დანართი 2	
	ბარძაყის სახსრის შეცვლა	იხ. დანართი 2	

**მოდული 3.3.**

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა -** სისხლძარღვთა ქირურგია, 1 თვე
2. **მოდულის მიზანი -**

რეზიდენტი სწავლობს უშუალოდ სისხლძარღვოვანი პათოლოგიების დიაგნოსტიკას და მინიმალურ-ინვაზიურ ინტერვენციებს. მოცემულ ეტაპზე, სისხლძარღვთა პათოლოგიები, გულის ქირურგიასთან პარალელურად არ განიხილება. მოდულის დასრულების შემდეგ, რეზიდენტს უნდა შეეძლოს თავისუფალი ორიენტაცია სისხლძარღვთა ქირურგიის ყველა იმ საკითხში, რომელიც აუცილებელი იქნება ზოგადი ქირურგიის პრაქტიკის წარსამართავად. აქედან გამომდინარე, დიდი მოცულობის ანგიოლოგიური ოპერაციების

დროს რეზიდენტს ევალება ოპერაციის ძირითადი პრინციპების ათვისება და ოპერაციების დროს ასისტენცია. რეზიდენტი სწავლობს უშუალოდ სისხლძარღვთა ქირურგიული დაავადებების მკურნალობის ძირითად მეთოდებს. მოდულის დასრულების შემდეგ, რეზიდენტს უნდა შეეძლოს თავისუფალი ორიენტაცია სისხლძარღვთა ქირურგიის ყველა იმ საკითხში, რომელიც აუცილებელი იქნება ზოგადი ქირურგიის პრაქტიკის წარსამართავად.

- 3. მოდულის ამოცანები:** სისხლძარღვთა ქირურგია წარმოადგენს ქირურგიის განშტოებას, რომელიც მოიცავს ინტერვენციებს არტერიებზე და ვენებზე, ასევე პერიფერიული ვასკულური სისტემის დაავადებების კონსერვატიული მკურნალობის მეთოდებს. რეზიდენტმა უნდა შეისწავლოს არტერიული დაავადებები (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დიაბეტის ფონზე განვითარებულ დარღვევებზე); რეზიდენტი უნდა გაეცნოს კაროტიდულ ენდარტერექტომიას, არტერიულ და ფემორალ ენდარტერექტომიას, ანევრიზმებს, იშემიურ დაზიანებებს (კიდურის იშემია, ჯორჯლის იშემია, პერიფერიული არტერიების ოკლუზიური დაავადებები). ასევე ღრმა ვენების თრომბოზს, რენალურ იშემიას, თრომბექტომიას და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა უბნების იშემიურ დაზიანებებს. ვენების დაავადებებიდან რეზიდენტმა უნდა შეისწავლოს ვარიკოზული დაავადება, ვენების მალფორმაციები და დიაბეტური ტერფისა და შეუხორცებელი წყლულების მართვის თავისებურებები.

**ლიტერატურის ნუსხა - იხ. დანართი 1**

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 3.3-ის სახით).**

ცხრილი № 3.3

<i>თეორიული კურსი</i>	<i>პროფესიული უნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>
ანგიოლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია არტერიებისა და ვენების დაავადებები	საჩინო ვენის მაღალი ლიგაცია და სტრიპინგი, შუნტირების პროცედურა პორტული ჰიპერტენზიის დროს. ვარიკოზული დაავადება, ვენების მალფორმაციები და დიაბეტური ტერფისა და შეუხორცებელი წყლულების მართვის თავისებურებები.	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიულ მომზადების დონეს.
რეზიდენტი უნდა გაეცნოს კაროტიდულ ენდარტერექტომიას, არტერიულ და ფემორალ ენდარტერექტომიას, ანევრიზმებს, იშემიურ დაზიანებებს (კიდურის იშემია, ჯორჯლის იშემია, პერიფერიული არტერიების ოკლუზიური დაავადებები). პროგრამა მოიცავს ასევე ღრმა ვენების თრომბოზს, რენალურ იშემიას, თრომბექტომიას და	აორტოფემორული შუნტირება, კაროტიდული ენდარტერექტომია, ღრუ ვენის ინტერუპცია, მუცლის აორტის ანევრიზმის რეზექცია, პორტაკავური შუნტირება, სპლენორენული შუნტირება, საჩინო ვენის შუნტირება	იხ. დანართი 2	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიულ მომზადების დონეს.

საჭმლის მომწოდებელი ტრაქტის სხვადასხვა უბნების იშემიურ დაზიანებებს.			
---	--	--	--

**მოდული 3.4.**

**1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - უროლოგია, 1 თვე**

**2. მოდულის მიზანი -**

აღნიშნული მოდულის მიზანია ქალისა და მამაკაცის საშარდე სისტემის, ასევე მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის იმ ძირითადი დაავადებებისა და ტრავმების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების გაცნობას, რომელთა მართვა ქირურგიულ ინტერვენციას ითვალისწინებს. დაავადებები და ტრავმები შეეხება შემდეგ ორგანოებს: თირკმელები, შარდსაწვეთი, შარდის ბუშტი; ასევე მამაკაცის რეპროდუქციულ სისტემას: სათესლე, სათესლის დანამატი, თესლის გამომტანი სადინარი, სათესლე ბუშტუკები, წინამდებარე ჯირკვალი და სასქესო ასო. მიუხედავად ქირურგიული ინტერვენციების აქცენტირებისა, დისციპლინა მოიცავს ზოგიერთი მდგომარეობის არაქირურგიული მართვის საკითხის შესწავლის აუცილებლობასაც (ინფექციები, ანთება და ა.შ.). გადაუდებელი მდგომარეობებისა და სიტუაციების დრმა თეორიული ცოდნის ათვისება და ურგენტულ სიტუაციებში კომპეტენტური სამედიცინო დახმარების გაწევა.

**3. მოდულის ამოცანები:** დასახული მიზნის მისაღწევად რეზიდენტი უნდა გაეცნოს შარდ-სასქესო სისტემის თავისებურებებს, რეტროპერიტონულ ორგანოებზე ოპერაციული მიდგომის თავისებურებებსა და შესაძლო გართულებებს. ასევე ნებისმიერი ოპერაციების დროს იატროგენული დაზიანების კორექციის გზებსა და საშუალებებს. უროლოგიის მოდულის გავლისას გარკვეული დრო უნდა დაეთმოს ასევე შარდ-სასქესო სისტემის ონკოლოგიური დაავადებების, ასევე სპეციფიკური ინფექციების გაცნობასაც. რეზიდენტს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მამაკაცის უნაყოფობასა და სქესობრივი ფუნქციის დარღვევებზეც. უროლოგიური პრობლემების შესწავლა აუცილებელია ასევე ზავშვთა ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით.

**ლიტერატურის ნუსხა -**

1. **Л.Г. Манагадзе, Н.А.Лапаткин, О.Б.Лоран, Д.Ю. Пушкарь, С.П. Даренков, Н.Л.Турманидзе. Р.Когенфеллер. Оперативная урология. Класика и новации. Руководство для врачей. Москва. Медицина. 2003.**
2. **Campbell-Walsh Urology, 9<sup>th</sup> Edit., 2011**
3. **<http://www.uroweb.org>**
4. **<http://www.EBU.com>**
5. **<http://auanet.org>**
6. **<http://www.uroweb.ru>**
7. **<http://www.ttmed.com>**
8. **<http://www.medscape.com>**

**შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 3.4-ის სახით).**

ცხრილი № 3.4

<i>თეორიული კურსი</i>	<i>პროფესიული უნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>
- აბდომინური ტკივილი (მწვავე ან	- კათეტერიზაცია - ურეთრის	მორიგეობა სტაციონარში	მოდულის ათვისებისას, ლოკალური

<p>ქრონიკული) განპირობებული უროლოგიური პრობლემებით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პემატურია</li> <li>- საშარდე გზების ინფექცია/უროსეპსი სი</li> <li>- შარდის შეკავება</li> <li>- თირკმლის/შარდსაწ ვეთის ჭვავი</li> <li>- მწვავე სათესლე პარკი</li> <li>- პრიაპიზმი/ასოს მოტეხილობა</li> <li>- თირკმლების უკმარისობა (პრე-, რენული, პოსტ-)</li> <li>- უროგენიტალური ტრაემა (თირკმელი; შარდსაწვეთი; ბუშტი; შარდსადენი; სათესლე პარკი; მენჯის ძვლების მოტეხილობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- კალიბრირება</li> <li>- ბოქვენზედა</li> <li>- კათეტერიზაცია</li> <li>- ცისტოსკოპია</li> <li>- რექტალური/ვაგინა ლური გასინჯვა</li> <li>- შარდსასქესო ტრაქტის სონოგრაფია</li> <li>- რადიოლოგიური კვლევა (იგზ, კტ, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა)</li> <li>- ჰიდროცელეს ქირურგიული კორექცია</li> <li>- ნეფრექტომია</li> <li>- ნეფრორაფია</li> <li>- ნეფროსტომის ფორმირება</li> </ul>	<p>ი -12 პაციენტის გატარება - 12</p> <p>ურეთის კათეტერიზა ცია - 10</p> <p>ტროაკარულ ი</p> <p>ცისტოსტომ ია - 4</p> <p>სათესლე ჯირკვლების გასინჯვა -6</p> <p>ცისტოსკოპი ა - 10</p> <p>საშარდე სისტემის ექსკანირებ ა -20</p> <p>საშარდე სისტემის რადიოლოგი ური და კტ კვლევა - 10</p>	<p>ხელმძღვანელი , უფროსი რეზიდენტი, განპირობებული/ზედამ ხელველი ექიმი</p> <p>ყოველკვირეულად აფასებენ რეზიდენტის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკული მომზადების დონეს, რაც ფიქსირდება სარეგისტრაციო კურნალში 4 ქულიანი სისტემით და მტკიცდება/ სერტიფიცირდება პროგრამის დირექტორის მიერ კურიკულუმის მიხედვით.</p>
--	---	---	--

**მოდული 3.5.**

